ეროვნული ბიბლიოთეკა


# საარბიტრო

სპორტული გაზეთი | შაბათი 10 აპრილი 2004 №80 (2099) | ფასი 50 თეთრი




## დღეს ჩხუბი არ იყოს!

გორელები „დილას“ გოლს ელიან, რკინიგზელები „ლოკომოტივისას“. ამ ორს წლეულს ჩემპიონატში ჯერაც არ შეურხევია მეტოქეთა კარის ბადე. სხვამხრივ, გორელები ანგარიშსწორებისთვისაც ემზადებიან. „დილას“ „სიონის“ ჯავრი ჭირს, რაკილა დიდი აყალმაყალი ახსოვს შარშანდელი ბოლნისური მატჩიდან, თუმც ჩვენი შურისძიება საფეხბურთო წესებს არ გასცდებაო, ირწმუნებიან გორელები. მოკლედ, დღეს სასეირო ტურია თავისი ცენტრალური „ვიტ ჯორჯია“ — „დინამოთი“. საამმატჩო ისედაც დიდ ინტრიგას ვიტელთა ახალმა თავკაცმა მერაბ კოჭლაშვილმა ცეცხლი შეუნთო — „დინამოს“ ოთხი თავდამსხმელით დავუხვდებიო. დიდ რისკზე მიდიან ვიტელები, რისკი კი ცეცხლთან თამაშის ტოლფასიცაა.

## 1 ირაკლი 1 იტალია

DAVIS CUP by BNP PARIBAS

ეს საჩოგბურთო უქმეები დევისის თასისაა და ყველა თავმოყვარე საჩოგბურთო ქვეყანა ამ სანაკრებო ტურნირში ცდის ჩოგანს. საქართველოც დევისობს, მართალია, ელიტარულ მსოფლიოს ჯგუფში არაა, მაგრამ ჩვენებს უკვე აღარც მოყვარულებში აქვთ საქმე და ევროაფრიკულ ზონაში იტალიას მეტოქეობენ. გუშინ კალიარიში ქართველებმა იტალიელებს ორი მატჩიდან ერთი მოუგეს და დღევანდელი საწყვილოსნო მატჩამდე ფრით მისულები იმედიანადაც იქნებიან. გამარჯვება ქართველთა ლიდერ ირაკლი ლაბაძის მარჯვე მარცხენაზეა, მისმა სეხნია უშანგიშვილმა კი ალესიო დი მაუროსთან სამი სეტის ჯამში 3:18 წააგო.



ირაკლი ლაბაძე

დღეს წყვილ იტალიელს ირაკლების წყვილი წყვილად გადაუჯვარედინებს ჩოგანს.

## საარსენო მინიმუმი პრემიერლიგის პრემიერისთვის




პრემიერლიგის 31 ტურია, „არსენალმა“ მარცხი არ იცის და გუშინ „ლივერპულიც“ ოთხით გაუშვა. ოთხი გოლიდან სამი სხვა ვისი იქნებოდა – ტიერი ანრისა იყო. ინგლისში კი, როგორც ყოველთვის, წვიმაზე მეტი ფეხბურთია. გუშინ დაწყებული ტური დღეს მთავრდება და ხვალ სხვა იწყება

# მალხაზ ასათიანს კუნთი დაეხსნა



**მალხაზ ასათიანი** კუნთს აღარ უჩივის. მოსკოვის „ლოკომოტივის" ქართველი ნახევარმცველი უკვე გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობს. არადა, ორიოდ დღის წინ ჩვენებურს ფეხი ისევ ასტკივდა და ექიმებიც დააფიქრა, მაგრამ, საბედნიეროდ, ასათიანს კიდევ ერთი გამოკვლევა ჩაუტარეს და კითხვის ნიშნებიც გაქრა — მალხაზის კუნთი აღდგენილია.

— ახლა უკეთ ვარ. მცირე ტკივილებს ისევ ვგრძნობ, მაგრამ ექიმების თქმით, ეს მალე გამივლის. მკურნალობის კურსი კი დავასრულე, მაგრამ ვითამაშებ თუ არა მომავალ ტურში, ზუსტად არ ვიცი — გვითხრა გუშინ მალხაზმა, როცა ვარჯიშის შემდეგ დავუკავშირდით.

ასათიანის დაბრუნებას „ლოკომოტივის" თავკაცი იური სიომინიც ელის: „მალხაზი უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს და იმედი მაქვს, მალე სათამაშოდაც მზად იქნება. ის ბევრ პრობლემას მოგვიხსნის" — თქვა სიომინმა.

ასე რომ, დიდი შანსია, მალხაზი „ლოკომოტივთან" ერთად თვის ბოლოს საქართველოს ნაკრებსაც დაუბრუნდეს.

**ბაჩა შალამბერიძე**

# მე თქვენ განახებთ სამბას
## რომერო და კარ[illegible] წყვილად [illegible]

*ბრაზილიელი სეზარ რომერო ნელ-ნელა უშინაურდება „დინამოს". მან ჯერ მხოლოდ ბათუმში, სათასო მატჩში ითამაშა ძირითად შემადგენლობაში და ივო შუშაკის ქებაც დაიმსახურა. მწვრთნელის თქმით, შესაძლოა, „ვიტ ჯორჯიასთან" ჩემპიონატის პრინციპულ მატჩში რომეროს სასტარტო დებიუტიც შედგეს. ჯერჯერობით კი, ბრაზილიელს ყველაზე მეტად ახარებს, ის, რომ თბილისში დათბა*



— ჩვენი ბოლო ინტერვიუს მერე საკმაო დრო გავიდა. თბილისსაც უკეთ გაიცნობდი და ახალ კლუბსაც...

— თბილისი საკმაოდ კარგად შევისწავლე და ახლა მეგზურები აღარ მჭირდება, თუმცა მთავარი პრობლემა — ენობრივი ბარიერი რჩება. ჯერჯერობით რამდენიმე ქართული სიტყვის შესწავლა მოვასწარი. კლუბში კი ძალიან თბილად მიმიღეს, თავს ისე ვგრძნობ, თითქოს ბიჭებს დიდი ხანია, ვიცნობდე. მოედანზეც ვუგებ მათ, რაც ძალიან მახარებს.

— ჩვენს ჩემპიონატზე როგორი წარმოდგენა შეგექმნა?

— ნორმალური ჩემპიონატია. თუ რაიმეს სწავლა გინდა, აქაც ისწავლი. მეტია ტექნიკური თამაში, ხისტი და უხეში მატჩები კი ნაკლებად. ვიცოდი, რომ „დინამო" კონკურენტებს უპრობლემოდ ამარცხებდა, მაგრამ არც ასე ყოფილა საქმე, კონკურენციაც არის. მოედნები რომ უკეთესი იყოს, თამაშიც უფრო სწრაფი იქნებოდა.

— **ბათუმში სრულად ითამაშე და შუშაკის ქებაც დაიმსახურე...**

— რაც უფრო მეტად მენდობა მთავარი მწვრთნელი, იმედებს მეტად გავუმართლებ. ძალიან მონდომებით ვმუშაობ, რათა დავიმსახურო ძირითადში თამაში. იმ რამდენიმე წუთში, რაც მე მეძლეოდა, ჩემი შესაძლებლობის გამოვლენას ვერ ვასწრებდი.

— **ალბათ გეცოდინება, რომ „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩი ძალიან პრინციპულია. არ გეშინია, ასეთ შეხვედრაში მწვრთნელის ნდობა რომ ვერ გაამართლო?**

— საერთოდ, ფეხბურთელი რაც უფრო მეტს იფიქრებს მეტოქეზე და რთულ მატჩებზე, თავს მეტად ავნებს. შუშაკი თუ ძირითადში დამაყენებს, სათამაშოდ კონცენტრირებული გავალ. თანაც ისე, თითქოს რიგით მატჩს ვთამაშობ, ყოველგვარი დაძაბვის გარეშე. ასე უფრო გამომდის ის თამაში, რისთვისაც „დინამოში" ამიყვანეს.

— **შენი თანამემამულე კარლოსი გოლის გატანას ბრაზილიური სამბით აღნიშნავს ხოლმე. თუ გაიტანე, შენც იცეკვებ?**

— ის რა ბრაზილიელია, ცეკვა რომ არ იცის. გოლის გატანის შემთხვევაში აუცილებლად ვიცეკვებ სამბას, თანაც ამას კარლოსზე კარგად გავაკეთებ, რადგან მასზე უკეთ ვცეკვავ. ისე, მოედანზე თუ კარლოსიც იქნება, ალბათ წყვილად ვიცეკვებთ.

**დავით ერაძე**

საქართველოს პროფესიონალური ფეხბურთის ლიგა

# პროფლიგა პირველ არხს დაუამხანაგდა და ფინალი ბინდზე შეუკვეთა

**რაც** პროფესიული ლიგა შეიქმნა, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ტელეკომპანია „იმედი" გადასცემს — პირველ ეტაპზე მხოლოდ ერთი გამონაკლისი იყო, როცა თამაშის რეპორტაჟი „პირველმა არხმა" გადასცა.

ახლახან კი მოლაპარაკება გაიმართა პროფლიგასა და „პირველ არხს" შორის და გადაწყდა, რომ ჩემპიონატის მეორე ეტაპის ოთხ შეხვედრას „პირველი არხი" უჩვენებს: დღევანდელი „თბილისი" —„ლოკომოტივი", „ლოკომოტივი"—„ვიტ ჯორჯია" (16 აპრილი), „ლოკომოტივი"—„დილა" (1 მაისი) და „თბილისი"—„სიონი" (22 მაისი)

რაც შეეხება „იმედს", ამ ტელეკომპანიამ მეორე ეტაპის ორი მატჩი უკვე მოილია და კიდევ ხუთს გადასცემს. „იმედზე" შეგიძლიათ იხილოთ თასის ერთ-ერთი ნახევარფინალიც, ალბათ, „დინამო"—„დილა" (20 აპრილი). 26 მაისის თასის ფინალიც „იმედზე" დატრიალდება და მატჩი სავარაუდოდ 20 საათზე დაიწყება — პროფლიგას ფინალზე შოუს მოწყობა განუზრახავს — ფოიერვერკს დაბინდული ცა-ხმელეთი უხდება.

**დავით თავართქილაძე**

# ბრატან, ბალახს მიგვიხედე

**საქართველოში** მოედნები რომ უვარგისია, ყველამ იცის. ერთადერთ გამონაკლისს „ისნის" სტადიონი წარმოადგენს. როგორც ჩანს, თბილისის „დინამომაც" მოიწადინა, რომ გუნდს დილმის საწვრთნელ ბაზაზეც და „ეროვნულ" სტადიონზეც ევროპული დონის მოედანი ჰქონდეს და ამისთვის გამოცდილი ბულგარელი სპეციალისტი დიმიტრი ბრატანოვი ჩამოიყვანეს.

— თბილისში „დინამოს" მმართელ დირექტორ დავით პეტრიაშვილის მოწვევით ჩამოვედი. როცა „დინამო 2" ბულგარეთში შეკრებაზე იყო, სწორედ მაშინ მოიწონეს ის საფარი, რომელიც ჩემი მოწყობილი იყო — გვითხრა გუშინ დილმის ბაზაზე ბრატანოვმა და თავისი მიზნებიც გაგვიმხილა:

— მართალია, აქამდე საქართველოში არ ვყოფილვარ, მაგრამ კავკასიას ვიცნობ. ჩემი ხელმძღვანელობით კეთილმოეწყო ბაქოს ტოფიკ ბახრამოვის სახელობის ცენტრალური სტადიონის მოედანი, ასევე ყარაბახის „აზერსუნის" სტადიონის საფარი. „ნეფტჩის" ბაზის მოედნების განახლებაშიც ვმონაწილეობდი. თბილისში იმ მიზნით ჩამოვედი, რომ დილმის საწვრთნელ ბაზაზე მოეწყოს თანამედროვე ევროპული დონის მოედნები. აქ ამის ყველა წინაპირობა არსებობს. გარდა ამისა, ეროვნული სტადიონის მინდვრის საფარიც შესაცვლელია და მალე ამ საქმესაც დავიწყებთ. თანაც ისე, რომ თანამედროვე ევროპული მოთხოვნებს პასუხობდეს.

როგორც ჩანს, ბრატანოვის მომსახურებით მხოლოდ „დინამო" არ ისარგებლებს.

— საღამოს პროფესიული ლიგის წარმომადგენლებს უნდა შევხვდე. ვნახავ „ლოკომოტივის" და „ისნის" მოედნებს. ვიცი, რომ მათი საფარი თანამედროვე სტანდარტებს არ შეესაბამება და თუ ხელსაყრელ წანიდადებას მივიღებ, ამ სტადიონებზეც ვიმუშავებ.

**დავით ერაძე**

# დუმალას პირას




რიკოთის უღელტეხილზე სასაუზმეებს, ქოთნებს, ნაზუქებს და ჩურჩხელებს რომ ჩაუვლით, თვალზე და ძარლვზე მოგხვდებათ საფეხბურთო მინდორი, რომელსაც ორი კარი კი აქვს, მაგრამ ტბორი და ღორღიც არ აკლია. იქ ბავშვები შეკრებილან და ზეიმს თვითონ იმზადებენ — ექვსი სოფლის პირველობაა და ბიჭებიც ბიჭობენ, მოგება უნდათ. მაგრამ სანამ მატჩი დაიწყება, ნორჩი ფეხბურთელები მოედანს ქვიშით ხაზავენ და აწესრიგებენ. ყველაფერი ეს მდინარე დუმალას პირას ხდება სოფელ ბორითში და აქ ყველაფერი ნამდვილია — ბადრი კეთილაძის ფოტოც და ძარღვის ტოკვის ამბავიც.

**დავით თავართქილაძე**

# არსენალი შეყილაძისგან ტრავმირებულია



**კიევის** „არსენალის" ქართველმა მცველმა გელა შეყილაძემ ვარჯიში განაახლა. ორ კვირაზე მეტია, შეყილაძე გუნდს ტრავმის გამო ვერ ეხმარება. ჩვენებური უკრაინის ჩემპიონატის მე-16 ტურში, ლვოვის „კარპატთან" მატჩის დასაწყისშივე დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. მაშინვე ითქვა, შეყილაძე, სულ მცირე, სამი კვირა იუქმებსო...

ერთ დროს საქართველოს ნაკრების მცველის მოედანზე უახლოეს დღეებში დაბრუნება გამორიცხულია, რაკი გელა ჯერ მხოლოდ ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს.

აქვე გეტყვით, რომ „არსენალი" უეფას თასის საგზურისთვის იბრძვის, თუმც ჩვენებურის არყოფნაში კიეველები უსუსურად თამაშობენ და ახლახან სულაც დაშლის პირას მყოფ ზაპოროჟიეს „მეტალურგთანაც" კი წააგეს. გუნდის თავკაცის ვიაჩესლავ გროზნის თქმით, ჩავარდნა სწორედ ტრავმირებულ ფეხბურთელთა სიმრავლემ გამოიწვია.

**სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ „ბათუმის" მთავარ მწვრთნელს ასლან ბალაძეს ძმის**
**გურამ ბალაძის**
**გარდაცვალების გამო**

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი მეორე ეტაპი

# 4 ტური

აპრილი

*საფეხბურთო ომის ნახვა ვისაც სურს, დღეს გორში უნდა გაემგზავროს. „თენგიზ ბურჯანაძეზე“ „დილა“ — „სიონია“, ჩემპიონატის პროვინციულ ჯახთაგან ყოველთვის გამორჩეული და პრინციპული.*

*ტურის ცენტრალური მატჩი კი „შევარდენზე“ გაიმართება — „ვიტ ჯორჯია“ „დინამოს“ უმასპინძლებს. დინამოელებმა ტრადიცია არც ამჯერად დაარღვიეს და მასმედიისთვის დილმის საწვრთნელი ბაზის კარი გაალეს*

# შუშაკს ვიტ ჯორჯია ცოცხლად არ უნახავს

## კოჭლაშვილი დინამოზე თავდასხმებს იგერიებს

თბილისი. 10 აპრილი. 16 საათი. შევარდენი

### ვიტ ჯორჯია — დინამო

**მსაჯები:** მ. მალაღურაძე; მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი (სამივე თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე



**ივო შუშაკმა** ღია ვარჯიშამდე სადღეისო მატჩზე კომენტარი გააკეთა.

— ზეექსეულის თითოეული მატჩი უმნიშვნელოვანესია. ორი წელია, „ვიტ ჯორჯიასთან“ ჩვენი მატჩები უაღრესად დაძაბულია და უმეტესობა ფრედ სრულდება. ორივე გუნდი მოედანზე მოტივირებული გავა. ბათუმში მოგებამ „დინამოს“ რწმენა დაუბრუნა. „თბილისთან“ მატჩის შემდეგ პირველად ივარჯიშა გიორგი ნემსაძემ. მას დღეს დავაკვირდები და გადავწყვეტ, ითამაშებს თუ არა „ვიტ ჯორჯიასთან“. მეოთხე დღეა, ვარჯიშს შეუდგა ირაკლი ზოიძე. ვიმედოვნებ, ბურდულის გარდა არავინ დაგვაკლდება და „დინამო“ მატჩს უძლიერესი შემადგენლობით ჩაატარებს.

— გაიმარჯვებს ის, ვინც მეტად მოინდომებს. ჩვენ მაქსიმალური კონცენტრაცია გვმართებს. წლეულს „ვიტ ჯორჯიას“ თამაში ცოცხლად არ მინახავს, ვნახე მხოლოდ „თბილისთან“ მათი მატჩის ვიდეოჩანაწერი. მართალია, ამბობენ, რომ „ვიტ ჯორჯიას“ ჩავარდნის პერიოდი აქვს, მაგრამ ამ აზრს ვერ დავეთანხმები. გუნდი, რომელიც მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ფეხდაფეხ მოგვდევს, შეუძლებელია, კონკურენტად არ მივიჩნიო. მათ თამაშს კარგად ვიცნობ, ძლიერი გუნდია. „ვიტ ჯორჯიას“ კარგად იცნობენ ჩემი ფეხბურთელებიც, ზოგიერთები მეგობრობენ კიდეც მათთან. ვფიქრობ, ეს უფრო მეტი სტიმული იქნება, რათა ბიჭები მოედანზე კონცენტრირებულები გავიდნენ და პრინციპულ მატჩში გაიმარჯვონ.

— ბოლო პერიოდში ბევრს ლაპარაკობენ გუნდში არსებულ ფსიქოლოგიურ პრობლემაზე. ვფიქრობ, „თბილისთან“ მატჩის მეორე ტაიმში დავამტკიცეთ, რომ არანაირი ფსიქოლოგიური პრობლემა არ არსებობს.

— ბათუმის, სათასო მატჩში მომეწონა ბრაზილიელი რომერო. ის ნელ-ნელა ეჩვევა გუნდს და თავის საუკეთესო თვისებებს ავლენს. ძალიან მშრომელი ბიჭია, ვარჯიშიდან ვარჯიშამდე უმატებს და ვფიქრობ, „ვიტ ჯორჯიასთან“ თამაშს ძირითად შემადგენლობაში დაიწყებს. ბათუმში თავისი უგოლო სერია შეწყვიტა სანდრო იაშვილმა. როგორც ჩანს, ჩვეულ ფორმას იბრუნებს.

ამის მერე ვარჯიში დაიწყო. მოთელვის შემდეგ შეკრიბა და ასეთი დავალება მისცა — ბურთის მკერდზე მიღება და მიწაზე დაუშვებლად კარში დარტყმა. ამოცანას თავი ყველაზე უკეთ სანდრო იაშვილმა გაართვა. პასების სიზუსტით გოგობერიშვილი და ანჩაბაძე გამოირჩნენ. ბოლოს ფეხბურთელებმა ტრენაჟორებზე გადაინაცვლეს. ჩვენ კი **ალეკო გოგობერიშვილი** დავიმარტოხელეთ, რომელიც „დინამოში“ სწორედ „ვიტ ჯორჯიადან“ გადავიდა.

**— ალეკო, ბოლო ხანს „დინამოს“ ჩავარდნაზე ალაპარაკდნენ. როგორ ფიქრობ, რატომ?**

— მე არ ვიტყვი, რომ ჩავარდნა გვაქვს. ალბათ, საქმეს სადღაც რაღაც დავაკელით, შეიძლება, ზოგიერთ მატჩს არასერიოზულადაც მოვეკიდეთ და ამის ბრალიც იყო, რომ ჩემპიონატის სტარტზე სამ მატჩში ვერ გავიმარჯვეთ. ჩემი აზრით, ჩვენს წარუმატებელ თამაშში თავისი წილი მსაჯებმაც დაიდეს.

**— ბევრი ითქვა ხუთი წამყვანი ფეხბურთელის წასვლაზეც...**

— ბუნებრივია, გუნდს ამანაც თავისი კვალი დაატყო. ორი წელია, ერთი შემადგენლობით ვთამაშობდით და მათი წასვლა გუნდის თამაშზეც აისახა. ახლებთან კი შეთამაშება გვჭირდება. თვითონ გუნდში კარგი ატმოსფეროა და ყველას ერთი სურვილი გვაქვს — რაც შეიძლება მალე გამოვასწოროთ ვითარება. ვფიქრობ, ამას „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩით დავიწყებთ.

**— „ვიტ ჯორჯია“ შენთვის კარგად ნაცნობი გუნდია. როგორ ფიქრობ, რის ხარჯზე შეუძლია „დინამოს“ გამარჯვება?**

— „ვიტ ჯორჯიას“ იმით გამოვარჩევ, რომ სტაბილური გუნდია. ის ალბათ ყველაზე ანგარიშგასაწევი მეტოქეცაა. თუმცა თამაშისთვის ჩვეულებრივად ვემზადებით. ისე, როგორც ყველა მატჩისთვის.

**— ნაკრებში რომ არ გამოგიძახეს, ეს გავლენას ხომ არ იქონიებს შენს განწყობაზე?**

— გულდაწყვეტილი ნამდვილად არ ვარ, ვიცოდი, რომ სანაკრებო სია ფედერაციის მიერ იყო შედგენილი. როგორც გავიგე, ახლა ჟირესს ჩემს შესახებ აქვს ინფორმაცია და მეც ველოდები ჩემს შანსს.



**ხუმრობით** [illegible] საათზე თუ „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი მწვრთნელი **მერაბ კოჭლაშვილი**, გუშინ რომ შევეხმიანეთ — გუნდში იდეალური სიტუაციაა, თუ გინდათ, ხვალინდელი მატჩის ანგარიშსაც გეტყვითო. თუმც ვიტელთა თავკაცს შევახსენეთ, რომ სათასო მეოთხედფინალიდან გავარდნილი მისი გუნდი ჯერაც შორსაა ჩვეული სათამაშო ფორმისგან და დღეს თავად ქვეყნის ჩემპიონი „დინამო“ ჰყავს მეტოქედ. ჰოდა, სერიოზულადაც ეს ითქვა:

— საბრძოლო განწყობა არ გვაკლია, ბიჭები სულმოუთქმელად ელიან „დინამოსთან“ შეხვედრას.

**— ფსიქოლოგიური განწყობა როგორია „სპარტაკთან“ სათასო მარცხის შემდეგ, კლუბის პრეზიდენტს საყვედური ხომ არ უთქვამს მწვრთნელ-ფეხბურთელებისთვის?**

— არა, მაგრამ საყვედურს ნაღდად ვიმსახურებდით, თუმც არ მინდა ამის გახსენება, ჩავლილი ამბავია.

**— წინა მატჩებისგან განსხვავებული ტაქტიკური მონახაზით ითამაშებთ „დინამოსთან“?**

— „სპარტაკთან“ მეორე ტაიმში ოთხი ფორვარდით ვითამაშეთ, დიდი უპირატესობაც მოვიპოვეთ, ავაწყვეთ თამაში.

**— „დინამოსთანაც“ იგივეს გააკეთებთ?**

— დიახ, რატომაც არა.

**— კი მაგრამ, ჩემპიონთან ოთხი ფორვარდით თამაში სარისკო არ გეჩვენებათ?**

— ძალიან სარისკოა, მაგრამ ჩვენ სხვა გზა მოჭრილი გვაქვს. მოგება გვჭირდება და მჯერა, დიდი რისკის ფასად შევძლებთ კიდეც ამის გაკეთებას.



[illegible] ფოტო

ვიტ ჯორჯიელი ვლადიმერ გოჩაშვილი და დინამოელი ალეკო გოგობერიშვილი მოედანზე ვერ შეხმატკბილდებიან

# გორი ბარი-ბარისთვის

გორი. 10 აპრილი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

### დილა — სიონი

**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ჯვარიძე; ა. მეშკოვი (ორივე თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ჭელიძე
**დისკვალიფიცირებულნი:** შატაკიშვილი, ბ. ჩიტაია (ორივე დილა)

**პირველ ეტაპზე** ამ გუნდების ბოლნისურ თამაშს დიდი სკანდალი და შეხლა-შემოხლა მოჰყვა. ბოლნისელ ფანთა და „დილას“ ფეხბურთელთა დაპირისპირება ჩხუბშიც გადაიზარდა, შედეგად კი სფფ-მ დისკვალიფიკაციებით ლამის შემადგენლობა გაუნახევრა გორელებს.

ქართლელებს ბოლნისური ინციდენტი რომ არ დავიწყებიათ, „დილას“ მწვრთნელ **ზურაბ ხორბუაშვილის** კომენტარიდანაც ჩანს.

— „სიონთან“ მატჩზე კარგა ხანია ვფიქრობ. ძალიან მტკივნეულად მახსენდება ბოლნისური ინციდენტი.

**— ჩანს, წყენა არ გაგნელებიათ...**

— არასპორტულად, ცუდად მოგვექცნენ მაშინ ბოლნისელები, შეურაცხყოფილები დავრჩით, ამას ფედერაციის ვერდიქტიც დაერთო, ლამის გუნდი გაგვინახევრეს და გაჭირვებით შევაღწიეთ ექვსეულში. მგონი, სამაგიეროს გადახდის დროა.

**— რითი აპირებთ სამაგიეროს გადახდას?**

— მოედანზე ნაღდი, უშეღავათო ბრძოლით. თავს არ დავზოგავთ და გავიმარჯვებთ. თუ ასე მოხდა, ბარი-ბარში ვიქნებით ბოლნისელებთან.

**— „სიონი“ ჩემპიონატის ლიდერია, დაბალანსებული, გამართული გუნდი ჰყავთ ბოლნისელებს. არ გაგიჭირდებათ?**

— „სიონის“ თამაშით მართლაც აღტაცებული ვარ, დიდ პატივს ვცემ თემურ მახარაძეს, ჩემთვის სამაგალითო მწვრთნელია, მაგრამ ჩვენ ჩვენი ანგარიშები გვაქვს ბოლნისელებთან და მხოლოდ გამარჯვება დაგვაკმაყოფილებს.

საბრძოლო განწყობაა ბოლნისელთა ბანაკშიც. „სიონელი“ გუშინ სასტუმრო „მესაზღვრეში“ შეიკრიბა. გუშინ, თემურ მახარაძის თანაშემწეს გიორგი ყიფშიძესაც შევეხმიანეთ.

„რა უნდა ვქთვა, ომში მივდივართ. ვიცი, გორელთა განწყობა, მაგრამ მაშინდელ ბოლნისურ ინციდენტს ჩვენ ნუ დაგვაბრალებენ, პირიქით, სიონელები გადავეფარეთ სტუმრებს, თორემ გაღიზიანებული მაყურებელი უკვე უმართავი იყო. ამიტომ ჩვენზე წყენა გულში არ ჩაიდონ, კაცურად გვეთამაშონ და მოედანზე გადავწყვიტოთ ყველაფერი.



[illegible] ფოტო

საპირველეტაპო „სიონი“—„დილას“ დიდი აყალმაყალი მოჰყვა

თბილისი. 10 აპრილი. 16 საათი. ისანი

### თბილისი — ლოკომოტივი

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ს. კოტრიკაძე

ოზურგეთი. 10 აპრილი. 16 საათი. ცენტრალური

### მერცხალი — სპარტაკი

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. ვადაჭკორია (თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა

ქუთაისი. 10 აპრილი. 16 საათი. ტორპედო

### ტორპედო — კოლხეთი

**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ი. აფციაური (დუშეთი); დ. სანაია (სოხუმი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი

ბათუმი. 10 აპრილი. 16 საათი. დინამო

### ბათუმი — მცხეთა

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ე. სილაგავა
**დისკვალიფიცირებული:** მახარაძე (ბათუმი)

## პირველი ტურის გადადებული მატჩი

ბათუმი. 13 აპრილი. 16 საათი. დინამო

### ბათუმი — სპარტაკი

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

| I-VI ადგილები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 27 |
| დინამო | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 27 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:1 | 25 |
| თბილისი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 23 |
| ლოკომოტივი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:1 | 19 |
| დილა | 3 | 0 | 2 | 1 | 0:3 | 19 |

| VII-XII ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 24 |
| ბათუმი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 19 |
| მცხეთა | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 15 |
| კოლხეთი | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 15 |
| სპარტაკი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 9 |
| მერცხალი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 6 |

# უეფას თასი 2003-2004. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

## სახეს ნუ მალავ, ალბერტო!


დიდიე დროგბა

| მარსელი (საფრანგეთი) 1:0 ინტერი (იტალია) |
|---|
| 1:0 დროგბა (46) |
| მარსელი: ბარტეზი, დოს სანტოსი, მეიტე, ჰემდანი, ბეიე, ფ. ფერეირა, ა. ნდიაიე, ფლამინი, მერიემი, დროგბა, ბატლე (ვახოუშეკი 81) |
| მწვრთნელი: ჟოზე ანიგო |
| ინტერი: ფონტანა, კორდობა (გამარა 58), ადანი, კანავარო, კილი გონსალესი, კ. ძანეტი, ალმეიდა (ფარინოსი 86), ხ. ძანეტი, კარაგუნისი (ემრე 66), ვიერი, მარტინსი |
| მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი |
| მსაჯი: ლუსილიუ კარდოზო კორტეს ბატისტა (პორტუგალია) |
| 58 000 მაყურებელი |

დიდიე დროგბას გოლით გამოწვეული სიხარული პორტუგალიელმა მსაჯმა ჩაუმწარა. კორტეს ბატისტა ფორვარდს ყვითელი ბარათით გაუმასპინძლდა, რომელიც დროგბასთვის მესამე აღმოჩნდა. ეს ნიშნავს, რომ „მარსელის" მეგოლე საპასუხო მატჩს გამოტოვებს.

„დიდიე ჩვენთვის დიდი ძალაა და, სამწუხაროა, რომ მილანში დაგვაკლდება, მაგრამ გვყავს მიდო, რომელიც მას შეცვლის. „მარსელი" „სანსიროზე" დროგბასთვის ითამაშებს. ერთი გოლის გატანა იქაც თუ მოვახერხეთ, ნახევარფინალში გავალთ" — თქვა ნამატჩევს ჟოზე ანიგომ.

„ველოდრომზე" მასპინძლებს სტივ მარლე და მიდო არ ჰყავდათ, მაგრამ მათ გარეშეც კარგად ითამაშეს.

მეორე წუთზევე ალბერტო ფონტანამ მერიემის ძლიერად დარტყმული მოიგერია.

მერიემმა ტაიმის შუაშიც დაჰკრა ხელსაყრელი პოზიციიდან, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა.

სტუმრებმა მხოლოდ ერთხელ შექმნეს ხიფათისმაგვარი, როცა ვიერის ბარტეზმა არ გაატანინა.

შესვენების შემდეგ, პირველ წუთზე, დიდიე დროგბამ ცენტრიდან პასი მიიღო, მცველებს გაექცა და ახლოდან ზუსტად დაჰკრა.

„ინტერი" მასპინძელთა შეტევების მოგერიებას ველარ აუდიოდა. მარჯვენა ფლანგიდან ფერეირას ჩაწოდებულ ბურთს შორეულ ძელთან ბატლე დაუხვდა, მაგრამ ეულად მყოფმა მომენტი გაანიავა.

ფრანგები გულმოდგინედ უტევდნენ და ორი-სამის გატანა კიდევ მართებდათ.

ყველაზე რეალური შანსი მერიემს ფაბიო კანავარომ უბოძა. მეორე ტაიმის შუაში იტალიელი მცველი შეცდა, მარსელელმა ბურთი მოიხელთა, მეკარესაც გასცდა, მაგრამ ფეხი აერია და ბურთი ძელს მოარტყა. ამის შემდეგ ბეიემ და დროგბამ თითოჯერ კიდევ გააცუდეს მომენტები.

ალბერტო ძაკერონი: „ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, იქნება თუ არა მილანში დიდიე დროგბა. „სან სიროზე" „ინტერმა" თავისი ნამდვილი სახე უნდა აჩვენოს. შინ უფრო მეტ დროს შეტევას დავუთმობთ და, ვიმედოვნებ, საჭირო რაოდენობის გოლების გატანას შევძლებთ".

**ვაჟა ხუციშვილი**

| სელტიკი (შოტლანდია) 1:1 ვილიარეალი (ესპანეთი) |
|---|
| 0:1 ხოსიკო (9), 1:1 ლარსონი (64) |
| სელტიკი: მარშალი, აგატი, ვარგა, ბალდე, მაკნამარა, ს. პეტროვი, ლენონი, პირსონი (მილერი 79), ტომპსონი, ლარსონი, სატონი |
| მწვრთნელი: მარტინ ონილი |
| ვილიარეალი: რეინა, არუაბარენა, კოლოჩინი, ხავი ვენტა, ბალესტეროსი, ხოსე მარი, ბატალია, რიკელმე, ხოსიკო (მარტი 79), როხერი, ს. ანდერსონი |
| მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი |
| მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი) |
| 58 493 მაყურებელი |

## ჰენრიკ ლარსონი უხელობამ გაახელა

„ხელით არ მითამაშია" — დაიჩივლა ნამატჩევს ჰენრიკ ლარსონმა, რომელსაც კიროს ვასარასმა გოლი არ ჩათვალა.

ეს მოხდა მეორე ტაიმის დასაწყისში, არუაბარენმა ბურთი მეკარეს დაუგორა, მან კი მოშორება სცადა და ლარსონს მოარტყა. შვედისგან ბურთი კარში შევარდა, გვერდითმა მსაჯმა კი მთავარს ანიშნა, ხელი იყოო. ჰოდა, ვასარასმაც გააუქმა.

„ვილიარეალმა" დანაქადნი შეასრულა და გლაზგოში არ წააგო, თუმც მასპინძლებს მეორე წუთზევე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. სტანისლავ ვარგას პასით ლარსონი რეინასთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ბოლო წამს ბურთი ველარ დაიმორჩილა.

„სელტიკის" შტურმის განელება მოახერხეს და სტუმრებმა პირველივე შეტევით იხეირეს. კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი მასპინძელმა მცველებმა საჯარიმოდან გაიტანეს, თუმც როხერმა უკან დააბრუნა და ხოსიკომ თავური დარტყმით ყმაწვილი დევიდ მარშალი დაამწუხრა. დამხვდურები გაორმაგებული ძალით მიეძალნენ მეტოქის საჯარიმოს, მაგრამ რეინა მხოლოდ ერთხელ, პეტროვმა შეაწუხა.

თავის მხრივ რიკელმემ ჯერ ანდერსონს, შემდეგ კი ხოსე მარის უბოძა პასები, ფორვარდებმა კი ხელსაყრელი მომენტები გაანიავეს.

ლარსონის არჩათვლილ გოლს მასპინძელთა გაავთრებული იერიშები მოჰყვა და შვედმა მაინც შეაგდო. აგატის ჩაწოდებულს თავი საგოლედ შეაგება.



კიროს ვასარასმა და ჰენრიკ ლარსონმა ბევრი იდავეს

## ვესიე ვისია?



ჯერმენ ჯენასის გამთანაბრებელი თავური

| პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 1:1 ნიუკასლი (ინგლისი) |
|---|
| 1:0 კეჟმანი (15), 1:1 ჯენასი (45) |
| პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ბოგელუნდი, კოლინი, ბუმა, ი. ლი, პარკი, ვან ბომელი, ვან დერ შაafi (ფოგელი 66), ჯ. დე იონგი (რომედალი 67), კეჟმანი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი |
| მწვრთნელი: გუს ჰიდინკი |
| ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ბრამბლი, ვუდგეიტი, ბერნარი, ამბროზი, ჯენასი, სპიდი, რობერი, შირერი (ამეობი 90), ბელამი |
| მწვრთნელი: ბობი რობსონი |
| მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი) |
| 36 500 მაყურებელი |

„ნიუკასლმა" მიიღო ის, რაც სურდა. ბობი რობსონი ნამატჩევს ფრიით კმაყოფილი იყო. „დასაწყისში სუსტად გამოვიყურებოდით, მაგრამ მეტად საჭირო დროს გავათანაბრეთ. ვფიქრობ, ჩვენთვის კარგი შედეგია და „სენტ ჯეიმს პარკზე" ალბათ უკეთესს მივაღწევთ".

ალან შირერმა მწვრთნელს კვერი დაუკრა: „სტუმრად გოლის გატანა გვსურდა და კიდეც შევძელით, რაც საპასუხო მატჩში უპირატესობას გვაძლევს და ეგებ გადამწყვეტიც აღმოჩნდეს".

მასპინძელი მატია კეჟმანი მეტად მონდომებული იყო და ანგარიშიც მან გახსნა. ჰიუზს ბურთი ასწაპნა, საჯარიმოში შეენთო და მოჭრილი დარტყმით შეი გივენს გაუტანა.

შეფუცხუნებულმა „ნიუკასლმა" მეტოქის საჯარიმოსკენ მიიწია, მაგრამ პირველ ტაიმში მხოლოდ ორი მომენტი შექმნა. ვატერეუსმა გარი სპიდის შორიდან გასროლილი ბურთი მოიგერია, შესვენებამდე წუთით ადრე კი ჯერმენ ჯენასმა იყოჩაღა და კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი თავით კარში შეაგდო.

ამ მომენტში გუს ჰიდინკმა შეამჩნია, რომ ტიტუს ბრამბლი მასპინძელ მცველს ეუხეშა. პსვ-ს მწვრთნელმა ნამატჩევს თქვა: „ჟილ ვესიე აშკარად ჩვენსკენ არ იყო, რადგან ბრამბლი უნდა დაეჯარიმებინა. მსაჯის შეცდომის გამო გოლი გავუშვით".

ბობი რობსონმა უარყო: „მე წესის დარღვევა არ დამინახავს. კუთხურის დროს საჯარიმოში ყოველთვის ჯაჯგურობენ და ეს ჩვეულებრივი ამბავია".

მეორე ტაიმში მოგების სურვილი პსვ-ს უფრო ეტყობოდა, თუმც „ნიუკასლის" დაცვა რიგიანად თამაშობდა.

## მავუბამ ბორდო დააქცია

| ბორდო (საფრანგეთი) 1:2 ვალენსია (ესპანეთი) |
|---|
| 1:0 რიერა (19), 1:1 ბარახა (75), 1:2 რუფეტე (87) |
| ბორდო: რამე, ჟემალი (ბასტო 71), პლანუსი, კანეირა, ჟურიეტი, ედუარდო კოშტა, მავუბა, ფრანსია (ფეინდუნო 71), სელადესი, შამახი, რიერა |
| მწვრთნელი: მიშელ პავონი |
| ვალენსია: კანისარესი, გარიდო (კარბონი 75), მარჩენა, პელეგრინო, კურო ტორესი, დ. ნავარო (კანობიო 60), ბარახა, რუფეტე, სისოკო, ხისკო, რ. ოლივეირა |
| მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი |
| გაძევება: მავუბა (27) |
| მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი) |
| 29 000 მაყურებელი |

„ბორდოს" მწვრთნელ მიშელ პავონს ჟან-კლოდ დარშევილის ეიმედებოდა, მაგრამ ექიმებმა ფორვარდს თამაშის ნება არ მისცეს. მასპინძელთა შემტევი ხაზი ამით შედარებით შესუსტდა. თუმც პირველ ტაიმში მასპინძლებმა სტუმრებზე უკეთ ითამაშეს.

რაფაელ ბენიტესმა „მურსიასთან" მატჩის შემდეგ ოთხი ფეხბურთელი შეცვალა. „ვალენსია" სანამ დალაგდებოდა, „ბორდომ" რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტია.

ანტონიო მავუბამ პაბლო ფრანსია გაიყვანა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ არგენტინელმა ააცილა.

ლაღად მოთამაშე ბორდოელები მალე კანისარესის დახმარებით დაწინაურდნენ. ალბერტ რიერას დარტყმული ბურთი მეკარემ უხეიროდ მოიგერია და ბურთი ბადეში აღმოჩნდა.

ჟირონდელები ამის შემდეგ უფრო გახალისდნენ, თუმც საქმეში მსაჯი ჩაერია და ფრანგთა ცეცხლი გაანელა. მაიკ რაილიმ ანტონიო მავუბა სისოკოს წაქცევისთვის გააძევა.

მსაჯმა წითელის გარდა შვიდჯერ ყვითელი ბარათიც იშიშვლა. გაფრთხილებებმა „ვალენსიაზე" მეტად „ბორდო" დააზარალა. შამახი და ჟურიეტი საპასუხო შეხვედრას გამოტოვებენ და თუ მანამდე დარშევილიც ვერ გამოჯანმრთელდა, მიშელ პავონის გუნდს „მესტალიაზე" ძალიან გაუჭირდება.

კაცნაკლულმა მასპინძლებმა პირველი ტაიმის ბოლომდე მეტოქეს კარში დარტყმის საშუალება არ მისცეს, ულრიხ რამე, ფაქტობრივად, უსაქმოდ იყო.

„ვალენსიას" სასარგებლოდ ვითარება შესვენების შემდეგაც არ შეცვლილა. სტუმრებმა რიცხობრივი უპირატესობა მხოლოდ ბორდოელთა დაღლის შემდეგ გამოიყენეს. ბარახამ სისოკოსთან კედელი გაითამაშა და მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, რამეს მაღალ კუთხეში დარტყმული ბურთის მოგერიების შანსი არ ჰქონდა.

მასპინძლებმა ფრის შენარჩუნება სცადეს, უკან დაიხიეს და მეტოქეს კონტრშეტევებით ჩხვლეტდნენ. მიუხედავად ამისა, კანისარესის კართან სახეირო ვერაფერი შექმნეს.

შეხვედრის მიწურულს სტუმრების მორიგი მცდელობა რუფეტემ შედეგიანად დაასრულა. მან ძელიდან დაბრუნებული ბურთი კარში შეაგდო.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალია

პაპუნა კედია

# სად არის, მარესკა?!

## პრესა ხმაურობს, ლიპი დუმს



პირველად „ბებერი ქალბატონი“ „ლაციოსთან“ დეკემბერში დამარცხდა. მაშინ, „სტადიო ოლიმპიკოზე“ რობერტო მანჩინის ხალხმა მარჩელო ლიპისას 2:0 აჯობა, ხოლო უკვე წლეულს იგივე იტალიის თასის ფინალში განმეორდა.

არადა, ქულები „იუვენტუსსაც“ სჭირდება და „ლაციოსაც“. ისინი ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრისთვის, პლუს, რაც შეიძლება კომფორტულად მოხვედრისთვის იბრძვიან, ოღონდ ამ ბოლო დროს, რაგინდ გასაკვირი იყოს, „იუვეზე“ ამბობენ, ფსიქოლოგიურად დასუსტდაო. ამის დასტურად, მაგალითად, წინა ტურში, „ინტერთან“ წაგებული 2:3 მოჰყავთ და საერთოდაც ასე თვლიან: ამ სეზონში, „ინტერს“, „რომას“, „მილანს“ და „ლაციოს“ შვიდ თამაში ბებერმა ქალბატონმა მხოლოდ ორი ქულა დაატოვებინა.

კიდევ არის ასეთი პრობლემა: პაოლო მონტერომ ხსენებულ წინა შეხვედრაში, ამ სეზონში მესამე წითელი ბარათი მიიღო. ბუნებრივია, მონტერო დღევანდელ ტურს გამოტოვებს. სამაგიეროდ, ბრუნდება პაველ ნედვედი, რომელსაც ზურგი სტკიოდა. რაც შეეხებათ ალესანდრო დელ პიეროსა და ლილიან ტურამს, ისინი ისევ არ იქნებიან.

აღსანიშნავია, რომ წინა ტურში, სასტარტო შემადგენლობში ენცო მარესკას არ გამოყვანის გამო პრესამ სერიოზულად გააკრიტიკა მარჩელო ლიპი, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, „ლაციოსთან“ მარესკასაც ათამაშებს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ ნედვედსაც და წინაც ორ თავდამსხმელს არ მოიკლებს — ლაპარაკია დავიდ ტრეზეგესა დ ფაბრიციო მიკოლიზე.

„ლაციომ“ კი წინა ტურში „სიენას“ მოუგო 5:2, მოგეხსენებათ, რომაელებს კონკურენტებზე ერთი მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული და ერთი სიტყვით, მეოთხე ადგილის მთავარ ფავორიტებად განიხილებიან. „სიენასთან“ ხუთიდან სამი სეზარმა გაიტანა. ცხადია, სეზარი დღესაც შეეცდება ბედის ღიმილის დამსახურებას. რაც შეეხება კლაუდიო ლოპესს, ის შეიძლება მანჩინიმ რობერტო მუცით შეცვალოს. კარში ისევ მატეო სერენი ჩადგება, რადგან ანჯელო პერუციმ ბარძაყის კუნთი გაიჭიმა.

„მილანი“ კი „ემპოლის“ მასპინძლობს. დავანებოთ თავი შოკს, რომელიც „შავ-წითლებმა“ ჩემპიონთა ლიგაში, „დეპორტივო ლა კორუნიასთან“ მიიღეს, მანამდე „კიევოსა“ და „მოდენასთან“ ორი ფრით მილანელებმა ხომ ოთხი ქულა დაკარგეს. ცუდ ფორმაშია ფილიპო ინძაგი, რომელიც მომენტს მომენტზე აფუჭებს, თუმცა მის მხარდამხარ კაკა და ანდრეი შევჩენკო იქნებიან და ვინძლო ეს ყველაფერი გამოსწორდეს.

კახა კალაძეს ნურც ამ თამაშში ელით.

„ემპოლი“ კი, ამბობენ, ყინჩად იქნებაო — ამ გუნდმა „სან სიროზე“ ბოლო ორი სტუმრობა 1:0 გამარჯვებით დაასრულა ოღონდ... „ინტერთან“. სხვათა შორის, თუ ვინმეს ნიშნებისა სწამს, ვეტყვით, რომ წინა სეზონში ერთი იმ ხსენებულ 1:0-თაგან „ემპოლიმ“ სწორედ 29-ე ტურში მოიგო.

„რომასა“ და „კიევოს“ შეხვედრაზე კი იმას გეტყვით, რომ... ფრანჩესკო ტოტის მტკიცებით მის გუნდს ჯერ კიდევ აქვს ჩემპიონობის შანსი — დასჯილი რომაელები ვერონელებს პალერმოში მასპინძლობენ. ოღონდ, შანსი შანსად და თავად ტოტი ამ შეხვედრაში დისკვალიფიცირებულია.

| XXIX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ანკონა | — | ბოლონია |
| რომა | — | კიევო |
| მილანი | — | ემპოლი |
| იუვენტუსი | — | ლაციო |
| პარმა | — | ლეჩე |
| ბრეშა | — | მოდენა |
| სიენა | — | სამპდორია |
| რეჯინა | — | უდინეზე |
| **ხვალ** | | |
| პერუჯა | — | ინტერი |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 28 | 21 | 6 | 1 | 56:19 | 69 |
| რომა | 27 | 18 | 6 | 3 | 59:13 | 60 |
| იუვენტუსი | 28 | 18 | 5 | 5 | 56:34 | 59 |
| ლაციო | 27 | 14 | 5 | 8 | 43:30 | 47 |
| პარმა | 28 | 13 | 8 | 7 | 44:37 | 47 |
| ინტერი | 28 | 13 | 7 | 8 | 47:29 | 46 |
| უდინეზე | 28 | 11 | 9 | 8 | 35:32 | 42 |
| სამპდორია | 28 | 10 | 11 | 7 | 36:34 | 41 |
| ბოლონია | 28 | 9 | 8 | 11 | 36:40 | 35 |
| კიევო | 28 | 8 | 9 | 11 | 28:32 | 33 |
| ბრეშა | 28 | 7 | 10 | 11 | 45:50 | 31 |
| სიენა | 28 | 7 | 9 | 12 | 35:44 | 30 |
| ლეჩე | 28 | 7 | 7 | 14 | 31:46 | 28 |
| რეჯინა | 28 | 5 | 13 | 10 | 24:39 | 28 |
| მოდენა | 28 | 5 | 11 | 12 | 24:38 | 26 |
| ემპოლი | 28 | 6 | 8 | 14 | 20:44 | 26 |
| პერუჯა | 28 | 3 | 13 | 12 | 34:48 | 22 |
| ანკონა | 28 | 0 | 7 | 21 | 13:57 | 7 |

**„იუვენტუსი“** ის გუნდია, ამ სეზონში ერთი საუკეთესო გუნდის დამარცხებაც რომ ვერ შეძლო. დღეს იგი „ლაციოს“ მასპინძლობს, რომელთანაც ორჯერ უკვე წააგო.

# გერმანია

ვაჟა ხუციშვილი



პირველი წრის „შალკე“ — „ბაიერნი“ მასპინძლებმა ორი უპასუხო გოლით მოიგეს

# შააფმა სიმშვიდე და მოგება შეუკვეთა

| XXVIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ჰერტა | — | ვოლფსბურგი |
| ლევერკუზენი | — | ლაუტერნი |
| ჰანზა | — | გლადბახი |
| აინტრახტი | — | ვერდერი |
| ბოხუმი | — | მიუნხენი |
| ჰამბურგი | — | დორტმუნდი |
| ბაიერნი | — | შალკე |
| **ხვალ** | | |
| ფრაიბურგი | — | შტუტგარტი |
| ჰანოვერი | — | კიოლნი |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | 27 | 19 | 6 | 2 | 66:28 | 63 |
| ბაიერნი | 27 | 16 | 8 | 3 | 61:29 | 56 |
| შტუტგარტი | 27 | 14 | 9 | 4 | 42:17 | 51 |
| ლევერკუზენი | 27 | 13 | 7 | 7 | 50:34 | 46 |
| შალკე | 27 | 11 | 10 | 6 | 37:30 | 43 |
| დორტმუნდი | 27 | 12 | 6 | 9 | 45:36 | 42 |
| ბოხუმი | 27 | 11 | 9 | 7 | 42:33 | 42 |
| ჰამბურგი | 27 | 10 | 6 | 11 | 37:47 | 36 |
| ჰანზა | 27 | 9 | 8 | 10 | 42:39 | 35 |
| ფრაიბურგი | 27 | 9 | 7 | 11 | 38:53 | 34 |
| ვოლფსბურგი | 27 | 10 | 1 | 16 | 46:56 | 31 |
| მიუნხენი | 27 | 8 | 6 | 13 | 28:40 | 30 |
| ჰანოვერი | 27 | 7 | 8 | 12 | 43:55 | 29 |
| ლაუტერნი | 27 | 9 | 4 | 14 | 29:42 | 28 |
| გლადბახი | 27 | 7 | 7 | 13 | 29:39 | 28 |
| აინტრახტი | 27 | 7 | 5 | 15 | 28:41 | 26 |
| ჰერტა | 27 | 5 | 10 | 12 | 27:51 | 25 |
| კიოლნი | 27 | 5 | 5 | 17 | 23:43 | 20 |
| „კაიზერსლაუტერნს“ დაკლებული აქვს 3 ქულა | | | | | | |

„ჩვენ ნებისმიერ მატჩში გამარჯვება გვჭირდება, ვიცით, რომ შეცდომა შესაძლოა, ძვირად დაგვიჯდეს. ახლა მთავარია, სიმშვიდე შევინარჩუნოთ და ზედიზედ ორ ფრეს მოგება მივაყოლოთ“ — თქვა თომას შააფმა „აინტრახტთან“ შეხვედრამდე.

დარჩენილ შვიდ ტურში ბრემენის „ვერდერისთვის“ ყველა მატჩი ფინალის ტოლფასი იქნება, რადგან ფეხი თუ დაუცდა, ჩასაფრებული „ბაიერნი“ მთელი სეზონის ნაჯაფს წაართმევს.

ოტმარ ჰიცფელდის გუნდი კი „შალკეს“ ვინი სანიოლის გარეშე დაუხვდება და, ცხადია, სამი ქულისთვის იბრძოლებს, მაგრამ გელზენკირხენელებს უეფას თასზე მოხვედრა სწადიათ და მიუნხენში ტურისტებად არ ჩადიან.

ბერლინის „ჰერტამ“ წინა ტურში „ჰანზას“ ვერ სძლია. დედაქალაქელებს შინ მოგების კიდევ ერთი შანსი აქვთ. „ვოლფსბურგი“ ბერლინს ახალი მწვრთნელით ეწვევა. იურგენ რიობერს, რომელიც ოდესღაც სწორედ „ჰერტას“ თავკაცობდა, დედაქალაქში ჩასვლა არ დასცალდა. იგი „კაიზერსლაუტერნიდან“ თებერვალში გათავისუფლებულმა ერიკ გერეტსმა შეცვალა. ბელგიელის „მგლური“ დებიუტი დღეს შედგება.

მასპინძლებს დიკ ვან ბურკი, მარკო რემერი და ნიკო კოვაჩი ტრავმირებული ჰყავთ.

ლევერკუზენის „ბაიერმა“ „კაიზერსლაუტერნს“ ბოლო ოთხ საშინაო შეხვედრაში აჯობა. მასპინძელთა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები ჯანზე არიან, სტუმრებს კი ბლომად ტრავმირებულები აკლიათ, მათ შორის მიროსლავ კლოზე.

„ჰანზას“ როსტოკში გლადბახელებთან 1995-96 წლების სეზონის შემდეგ არ წაუგია. „ბორუსია“ ბუნდესლიგაში დასარჩენად ჯაჯგურობს, „ჰანზა“ კი თითქოს უეფას თასის ზონაში შეძვრომას აპირებდა, მაგრამ ახლა ცხრილის გულშია გაჭედილი. სტუმრებს სლადან ასანინი და ტომისლავ მარიჩი დააკლდებათ.

„ბოხუმს“ ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ გუნების გამოკეთება სჭირდება, თან მეხუთე ადგილიდან გამოძევებული კვლავ ზემოთ ასვლას ცდილობს.

„ჰამბურგი“ დორტმუნდელებს უმასპინძლებს, რომელსაც ტომაშ როსიცკი და ევანილსონი ტრავმირებული ჰყავს, თავის მხრივ, „ჰამბურგი“ ძირითადი მეკარის, მარტინ პიკენჰაგენის გარეშე იქნება, რადგან მას მკურნალობა გაუჯანჯლდა.

„ფრაიბურგს“ კვლავ მოსულიერებული „შტუტგარტი“ ეწვევა. ფელიქს მაგათის გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის გაფთრებული ომობს. წინა ტურში სტუმრად „ვოლფსბურგი“ არ დაინდო, ახლა კი სამი ქულის წაღებას ფრაიბურგიდან ეცდება.

## ინგლისი

კოტე კაკელია

# გუშინ, დღეს, ხვალ

## ინგლისში ბურთი დედამიწასავით სულ ბრუნავს

**ორი მატჩი**, „არსენალი" — „ლივერპული" და „ევერტონი" — „ტოტენჰემი", მოგეხსენებათ, გუშინ ჩატარდა და ტურის მთავარი მატჩის მიმოხილვა ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ, დანარჩენი თამაშები კი დღეს გაიმართება და უკვე ხვალ ინგლისში მომდევნო ტური დაიწყება. ხვალ „ნიუკასლი" „არსენალს" მასპინძლობს, ტური კი ორშაბათს დასრულდება.

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტი „ჩელსი" „მიდლსბროს" დაუხვდება და რაკი ლიდერ „არსენალს" ძალიან ცუდი კალენდარი აქვს, ეგებ მის გადასწრებაზეც იფიქროს. მეორე მხრივ კი, „ჩელსის" ბლომად დაშავებულები ჰყავს — თითმოტეხილი მეკარე კარლო კუდიჩინი, კოჭმტკივანი მცველი გლენ ჯონსონი და ზურგდაშავებული ნახევარმცველი ხუან ვერონი. თუმცა ისიცაა, რომ ეს ფეხბურთელები რა ხანია, მკურნალობენ და „ჩელსის" მათი არყოფნა არაფერს ვნებს.

ამ მხრივ უფრო სერიოზულად მოსჩანს „ბოროს" დანაკლისი — ცენტრალური მცველი გარეთ საუთგეიტი, რომლისთვისაც სეზონი უკვე დამთავრდა და კამერუნელი ფორვარდი ჟოზეფ-დეზირე ჟობი.

„მანჩესტერი" ბირმინგემში ჩადის, სადაც წინა კვირაში „სენტ ენდრიუზე" „არსენალი" თასზე დაამარცხა.

მანჩესტერელებს საეჭვოა ჰყავდეთ რუუდ ვან ნისტელროოი, რომლის ნაცვლადაც სავარაუდოდ, ოლე გუნარ სოლსკიაერი ითამაშებს. ბირმინგემელთა მენეჯერს, ძველ მანჩესტერელ სტივ ბრიუსს, ცენტრალური მცველი დარენ პარსი და ნახევარმცველი დევიდ დანი გამოაკლდება.

უეფას თასზე თამაშის წყურვილი ჰკლავს „ჩარლტონ ატლეტიკს", მაგრამ ბოლო ორ ტურში მარცხმა მათ ამბიციას ფრთები გვარიანად შეუკვეცა, ალან კერბიშლს დამტვრეულთა ამბავიც ადარდებს. ლონდონელებს ნახევარმცველები ჰერმან ჰრეიდარსონი და გრემ სტიუარტი ჰყავთ დაშავებულები.

ამავე დროს „ჩარლტონის" იმედი მეტოქის სისუსტეა — „პორტსმუთს" ამ სეზონში სტუმრად ოდენ ერთი თამაში აქვს მოგებული, ლონდონელებმა კი „პორტსმუთი" ოქტომბერში მისსავე მოედანზეც დაამარცხეს.

უეფას თასზე თამაში „ჩარლტონზე" არანაკლებ — მეტად თუ არა — უნდა „ასტონ ვილას", რომელიც ბოლტონში ჩადის.

მასპინძლებს დაუბრუნდათ ფრანგი მსოფლიოს ჩემპიონი იური ჯორკაეფი, რომელმაც „ბოლტონის" ბოლო ოთხი თამაში გამოტოვა, სამაგიეროდ, ბრუნო ნგოტი დააკლდებათ.

ბირმინგემელებს „ბოლტონი" 1997 წლის მერე არ დაუმარცხებიათ, დღეს კი ხუან პაბლო ანხელი არ ეყოლებათ, რომლის მუხლის მკურნალობასაც სამი კვირა სჭირდება.

ბოლოს დავძინოთ, რომ „ლიდსთან" შეხვედრაში „ბლექბერნს" კრეიგ შორტი და ლორენცო ამორუზო არ ეყოლება, მაშინ როცა, „ლიდსი" საბრძოლო შემადგენლობით ითამაშებს. „ფულემთან" მატჩში კი „ლესტერს" ლეს ფერდინანდი და პოლ დიკოვი დააკლდება, ხოლო ლონდონელებს, „ლიდსის" არ იყოს, დაშავებული არავინ ჰყავს.




ჩემპიონთა ლიგაში ნახეირები ჩელსელები და მათი იტალიელი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი ჩინებულ ხასიათზე არიან

| XXXII ტური | | |
|---|---|---|
| **გუშინ** | | |
| ევერტონი | — | ტოტენჰემი |
| **დღეს** | | |
| ბირმინგემი | — | მანჩესტერი |
| ბლექბერნი | — | ლიდსი |
| ბოლტონი | — | ასტონ ვილა |
| ჩარლტონი | — | პორტსმუთი |
| ჩელსი | — | მიდლსბრო |
| ლესტერი | — | ფულემი |
| სიტი | — | ვულვზი |
| **XXXIII ტური** | | |
| **ხვალ** | | |
| ნიუკასლი | — | არსენალი |
| **ზეგ** | | |
| ასტონ ვილა | — | ჩელსი |
| ფულემი | — | ბლექბერნი |
| ლიდსი | — | ევერტონი |
| ლივერპული | — | ჩარლტონი |
| მანჩესტერი | — | ლესტერი |
| მიდლსბრო | — | საუთჰემპტონი |
| პორტსმუთი | — | ბირმინგემი |
| ტოტენჰემი | — | სიტი |
| ვულვზი | — | ბოლტონი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 31 | 23 | 8 | 0 | 62:22 | 77 |
| ჩელსი | 31 | 22 | 4 | 5 | 58:23 | 70 |
| მანჩესტერი | 30 | 19 | 5 | 6 | 56:30 | 62 |
| ლივერპული | 32 | 13 | 10 | 9 | 48:35 | 49 |
| ნიუკასლი | 31 | 12 | 12 | 7 | 45:33 | 48 |
| ბირმინგემი | 31 | 12 | 10 | 9 | 37:36 | 46 |
| ასტონ ვილა | 31 | 12 | 8 | 11 | 39:36 | 44 |
| ჩარლტონი | 30 | 12 | 7 | 11 | 41:39 | 43 |
| საუთჰემპტონი | 31 | 11 | 9 | 11 | 34:29 | 42 |
| ფულემი | 31 | 11 | 8 | 12 | 41:40 | 41 |
| მიდლსბრო | 31 | 11 | 8 | 12 | 37:39 | 41 |
| ტოტენჰემი | 31 | 11 | 4 | 16 | 40:48 | 37 |
| ბოლტონი | 31 | 9 | 10 | 12 | 34:48 | 37 |
| ევერტონი | 31 | 8 | 10 | 13 | 38:45 | 34 |
| სიტი | 31 | 7 | 11 | 13 | 42:43 | 32 |
| ბლექბერნი | 31 | 8 | 7 | 16 | 42:52 | 31 |
| პორტსმუთი | 30 | 8 | 6 | 16 | 32:45 | 30 |
| ლესტერი | 31 | 5 | 13 | 13 | 41:55 | 28 |
| ლიდსი | 31 | 7 | 7 | 17 | 32:62 | 28 |
| ვულვზი | 31 | 5 | 9 | 17 | 27:66 | 24 |

**პრემიერლიგა. XXXII ტური**

**არსენალი 4:2 ლივერპული**

0:1 ჰიიპია (5), 1:1 ანრი (31), 1:2 ოუენი (42), 2:2 პირესი (49), 3:2, 4:2 ანრი (50, 78)

**არსენალი:** ი. ლემანი, ლორენი, ს. კემპბელი, კ. ტურე, ეშლი კოული, ლიუნგბერგი (კიოუნი 90), ვიეირა, ჟილბერტო სილვა, პირესი (ედუ 72), ანრი, ბერხკამპი

**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი

**ლივერპული:** დუდეკი, კარაგერი, ჰიიპია, ბისკანი, რიისე, დიუფი (მერფი 85), ჰამანი, ჯერარდი, კიუელი, ოუენი, ჰესკი (ბაროში 66)

**მწვრთნელი:** ჟერარ ულიე

**გაფრთხილება:** ლორენი, კოული, ვიეირა, დიუფი

**მსაჯი:** ვაილი

38 120 მაყურებელი

# ლივერპული ფრანგულმა გაჭრა

თავიდან საქმეს ისეთი პირი უჩანდა, „არსენალი" ზედიზედ მესამე თამაშს წააგებდა და პრემიერლიგის ჩემპიონის თითქმის განაღდებულ ტიტულს სათუოდ გაიხდიდა.

თამაშის დაწყებიდან ხუთიოდ წუთში ლივერპულელთა ჩაწოდებულ კუთხურს ჯერ სტივენ ჯერარდმა დაჰკრა თავი, მერე ბურთს სემ ჰიიპიამ თავურითვე მიმართულება უცვალა და ანგარიში გახსნა.

მაგრამ „არსენალს" ჰყავს ტიერი ანრი, რომლის დიდებულმა თამაშმა და გოლებმა ამ მატჩის ბედი „მეთოფეთა" სასიკეთოდ გადაწყვიტა. ფრანგმა „ლივერპულს" სამი გოლი გაუტანა, რითაც სეზონში მხოლოდ პრემიერლიგაში 25 გოლი დაუგროვდა. თუმცა უმადურობა იქნება, ანრისთან ერთად მისი თანამემამულე რობერ პირესიც არ მოვიხსენიოთ. პირესმა „მეთოფეთა" პირველი გოლისას ანრის საგოლე პასი მისცა, ხოლო მეორე ტაიმის დასაწყისში, როცა ლივერპულელები მაიკლ ოუენის გოლით მეორედ იგებდნენ, თავად გაიტანა.

პირესის გოლმა სტუმრები ისე არია, რომ ორ წუთში თავად ალმოჩნდნენ მდევრად, ანრის მესამე გოლმა კი საბოლოოდ წელში გატეხა.

ამგვარად, „ლივერპულმა" კიდევ უფრო გაირთულა მეოთხე, საჩემპიონთალიგო ადგილზე გასვლის შანსი, ხოლო „არსენალი" ჩემპიონის ტიტულს კიდევ უფრო მიუახლოვდა — უახლოეს მდევართან შვიდქულიანი უპირატესობა, როცა ჩემპიონატის დასრულებამდე შვიდი ტურია დარჩენილი, „არსენალისთვის" ფაქტობრივად, ჩემპიონობას ნიშნავს. „მეთოფეები" 31 ტურია, არ დამარცხებულან და ახლა, როცა აღარც თასზე აქვთ სათამაშო და აღარც ჩემპიონთა ლიგაში, რა ღმერთი უნდა გაუწყრეთ, წაგებას რომ მიჰყონ ხელი.

ირაკლი ნინიძე




REUTERS

არსენ ვენგერის ჯილამ ტიერი ანრიმ ამჯერზე სამჯერ გაისროლა

## ესპანეთი

ლადო ხომერიკი

# რაიკარდს ხომ არ ეთამაშა...



„მონაკოსთან“ „რეალის“ მარცხისა და „დეპორტივოს“ „მილანთან“ გმირობის შემდეგ ინჩასობა კვლავაც პრიმერადივიზიონს უბრუნდება. ვალიადოლიდში ფრანკ რაიკარდის „ბარსელონა“ ფერნანდო ვასკესის გუნდს შეეჯახება. კატალონიური გრანდი პრაქტიკულად მცველების გარეშე ითამაშებს, რადგან ყველა საიმედო უკანახაზელი ან ტრავმირებულია ან დისკვალიფიცირებული. კარლეს პუიოლი ჯერაც ვერ გამოკეთდა, გაბრი და მარკესი ასევე მუხლს უჩივიან, ხოლო ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი დასჯილია. თითქოს ესლა აკლდათო, ვარჯიშის დროს ყმაწვილი ოსკარ ლოპესი, ვისაც რაიკარდი გაჭირვების ჟამს მარჯვენა უკანახაზელად ათამაშებს, დაშავდა და მისი თამაშიც საეჭვოა.

ამგვარად, ჰოლანდიელი იძულებული იქნება, მეტოქეს სახეცვლილი ეწვიოს. განაპირა ფლანგებზე ოსკარ ლოპესი (თუ ითამაშა) და ტიაგო მოტა, ცენტრში კი ოლეგერი და მიხაელ რაიციგერი. ნახევარდაცვა-თავდასხმის ხაზი წესრიგშია და „ვალიადოლიდის“ მოიერიშეებმა სტუმართა ექსპერიმენტული განლაგება თუ არ შემუსრეს, „ბარსა“ თავის საპრიმერო წაუგებელ სერიას გააგრძელებს. კატალონიურ გრანდს ესპანეთში ერთ-ერთ სახიფათო სტუმრად თვლიან — „ბარსელონამ“ 9 შეხვედრა მოიგო, ოდნავ ნაკლები, ვიდრე „ვალენსიამ“.

„ვალიადოლიდს“ კამინერო და პენია არ ეყოლება. პირველს ყვითელი ბარათები დაუგროვდა, მეორეს კი მარცხენა ფეხი სტკივა და თხუთმეტდღიანი იძულებითი შესვენება გამოუწერეს. მეგოლე მაკუკულას არყოფნაში გონსალესი შეტევას ითავებს, რომლის კონტრაქტიც ვასკესის კლუბთან 30 ივნისს იწურება, ბოლო ჟამს გატანილი რვა გოლით იგი მეტოქეთა რისხვად იქცა.

კერკეტი „ოსასუნა“ გამწარებულ „რეალს“ ესტუმრება. კარლუშ კეიროშმა თქვა, „მონაკო“ უკვე წარსულია და ახლა მომავალზე უნდა ვიფიქროთო.

მადრიედელებს ისლა დარჩენიათ, ჩემპიონობისთვის იბრძოლონ და გულშემატკივრები პრიმერადივიზიონის მოგებით დაამშვიდონ.

გლაზგოდან შინ თავაწეული დაბრუნდა „ვილიარეალი“ და დალხენილი „დეპორტივოს“ დაუხვდება. ევროთასებზე წარმატებით მოთამაშე გუნდები ხვალ ეთრმანეთის ძალებს მოსინჯავენ.

„რეალის“ მდევარი „ვალენსია“ „სარაგოსას“ ჩააკითხავს, რომელსაც შვიდმატჩიანი წაუგებელი სერია გამოუჩარხავს. სტუმრები კვლავ პაბლო აიმარის გარეშე იქნებიან, მაგრამ ბენიტესი დასვენებულ ანგულოს და ვისენტეს ათამაშებს.

ვიგოს „სელტას“ სევილიელთა წინაამდეგ ახალი მწვთრნელი, რამონ კარნესო გაიყვანს. გალისიელებს ნახევარმცველები — პაბლო ლუქსენი და ვაგნერი არ ეყოლებათ.

მალაგელი ფორვარდი სალვა ყოფილ თანაგუნდელებს დაუპირისპირდება. „ატლეტიკო“ უეფას თასისთვის იბრძვის, არც „მალაგაა“ უამბიციო. ამიტომაც თამაშიც საინტერესო უნდა გამოდგეს.

### XXXII ტური

**დღეს**

ვალიადოლიდი — ბარსელონა
მალაგა — ატლეტიკო
სელტა — სევილია

**ხვალ**

ბეტისი — მალიორკა
ესპანიოლი — ალბასეტე
რასინგი — ბილბაო
რეალი — ოსასუნა
სოსიედადი — მურსია
სარაგოსა — ვალენსია
ვილიარეალი — დეპორტივო

### სადღეისო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 31 | 20 | 7 | 4 | 64:36 | 67 |
| ვალენსია | 31 | 20 | 6 | 5 | 62:21 | 66 |
| დეპორტივო | 31 | 17 | 6 | 8 | 50:30 | 57 |
| ბარსელონა | 30 | 16 | 8 | 6 | 48:32 | 56 |
| ატლეტიკო | 31 | 13 | 9 | 9 | 38:36 | 48 |
| ოსასუნა | 31 | 10 | 15 | 6 | 32:27 | 45 |
| ბილბაო | 31 | 12 | 9 | 10 | 40:39 | 45 |
| მალაგა | 31 | 13 | 4 | 14 | 41:44 | 43 |
| სევილია | 31 | 11 | 8 | 12 | 40:36 | 41 |
| ვილიარეალი | 31 | 11 | 8 | 12 | 39:40 | 41 |
| ბეტისი | 30 | 9 | 12 | 9 | 38:34 | 39 |
| რასინგი | 31 | 10 | 9 | 12 | 41:49 | 39 |
| სარაგოსა | 31 | 10 | 8 | 13 | 36:41 | 38 |
| ვალიადოლიდი | 31 | 9 | 9 | 13 | 37:44 | 36 |
| სოსიედადი | 31 | 9 | 9 | 13 | 35:43 | 36 |
| ალბასეტე | 31 | 10 | 6 | 15 | 31:39 | 36 |
| მალიორკა | 31 | 9 | 6 | 16 | 37:57 | 33 |
| ესპანიოლი | 31 | 9 | 3 | 19 | 34:53 | 30 |
| სელტა | 31 | 6 | 11 | 14 | 40:59 | 29 |
| მურსია | 31 | 3 | 11 | 17 | 25:48 | 20 |

# საფეხბურთო ნოველა: ორი მეგობარი

## თარგმნა ჟოზე მაურინიუმ



*„პორტუ“ მოგეხსენებათ, უეფას თასის მფლობელია, რომელიც ახალ ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით თამაშობს, ხოლო ჯილდოს, რომელიც აქამდე მუზეუმში ედო სულ სხვა გუნდები უახლოვდებიან. ერთი სიტყვით, თვითონ თასი უკვე სხვებს სჭირდებათ და სწორედ ამას ვერ ეგუება ჟოზე მაურინიო, პორტუელთა თავკაცი. სახალისო ამბავი გინდათ? როდესაც თასის წასაღებად პორტუგალიაში უეფას თანამშრომლები მივიდნენ, მაურინიუმ ლამის ცრემლი ღვარა, იქნებ ეგ ძვირფასი საგანი რამდენიმე კვირით კიდევ დამიტოვოთ, სანამ უფრო მისაღები ბინა გამოუჩნდებოდესო*

და რას გულისხმობდა მაურინიუ უფრო მისაღებ ბინაში? როგორც ამბობენ, მისი დიადი მენტორისა და მეგობრის, სერ ბობი რობსონის თაროს. ანუ რაკიღა ბობი რობსონი დღეს „ნიუკასლ იუნაიტედის“ მწვრთნელია, გამოდის, რომ „პორტუს“ თავკაცი უეფას თასზე სწორედ ამ ინგლისურ გუნდს გულშემატკივრობს.

მაურინიო: „უეფას თასს „სენტ ჯეიმს პარკზე“ უკეთეს ადგილს ვერც მოუფიქრებს კაცი. ხოლო ჩემთვის ამ ჯილდოს შარშანდელი მოგება კარიერის უბრწყინვალესი მომენტი იყო. ძალიან მინდოდა იგი ბოლომდე შემენახა და მისტერ რობსონისთვის ჩემი ხელით გადამეცა. არა უშავს, თუ „ნიუკასლი“ მოიგებს მას ჯილდოს ვინმე სხვა მისცემს“.

ახლა კი ის ვთქვათ, რამ გადარია მაურინიუ რობსონზე. რამ და, თავის დროზე ის ინგლისელის თარჯიმანი იყო. რობსონის ცოდნაგანათლებამ მაურინიუ ისე ალაფრთოვანა, რომ შემდეგ „ბარსელონაში“ გაჰყვა ასისტენტად და... გახდა კიდევაც ევროპის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა მწვრთნელი.

„დიდი მატჩების წინ ჩვენ ერთმანეთს ვურეკავთ, რჩევებს ვაძლევთ და წარმატებას ვუსურვებთ“ — ამბობს პორტუგალიელი, რომელზეც ამბობენ, რომ „პორტუდან“ წავა, მაგრამ სად, ჯერჯერობით უცნობია... უამრავ გუნდს ასახელებენ, მათ რიცხვში „ლივერპულს“.

ცნობისთვის: დღეს „პორტუ“ ქვეყნის ჩემპიონატში ოთხი ქულით ლიდერობს და 28 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი აქვს წაგებული.

„მისტერ რობსონი ჩემპიონთა ლიგაში ჩვენს თამაშს ძალიან სერიოზულად აკვირდება და თუ ორივენი ფინალში გავედით, ერთმანეთის საქომაგოდ აუცილებლად მივალთ“ — დასძენს მაურინიო.

ოღონდ იმისთვის, რომ ფინალში გავიდეს, მაურინიოს გუნდს ნახევარფინალში „მილანის“ მძლეველი „დეპორტივო და კორუნიას“ ჩამოტოვება მოუხდება.

„წლეულს პორტუგალიური ფეხბურთის ძალიან მნიშვნელოვანი წელიწადია. ევრო 2004 კარს მოგვადგა და ამ შეჯიბრების წინ ჩემპიონთა თასის მოგება სრულიად ფანტასტიკური ამბავი იქნება“ — სწამს „პორტუს“ თავკაცს და ცამდე მართალია. მისმა გუნდმა ჩემპიონთა თასი რომ მოიგოს, წარმოიდგინეთ, ქვეყანაში, რომელიც ევროპის პირველობას მასპინძლობს, რამხელა სტიმული გაჩნდება.

„თუმცა, ჩვენი წარმატება უკვე აისახება მთელ პორტუგალიურ ფეხბურთზე. დამეთანხმებით, ბოსმანის წესის შემდეგ პატარა ქვეყნებს ძალიან გაუჭირდათ და ამიტომ, რასაც „პორტუმ“ მიაღწია, ძალიან საამაყოა“.

მაშ, მაურინიუს აზრით რა არის მისი კლუბის წარმატების საიდუმლო? მწვრთნელი პასუხობს:

„ამის წინაპირობა ორწლიანი მუხლჩაუხრელი შრომაა. ერთი და იგივე მწვრთნელები ერთსა და იმავე ფეხბურთელებთან ხვეწდნენ ოსტატობას. ჩვენ ტაქტიკური კრედო გვაქვს, რომელსაც ხანდახან რელიგიური ერთგულებით ვუდგებით და ხშირად ვფიქრობ, რომ ჩემი ბიჭები თავიანთ ფეხბურთს თვალახვეულებიც კი ითამაშებენ. დიახ, ჩვენ „რეალისა“ და „მილანივით“ ვარსკვლავები არ გვყავს, მაგრამ ამ ნაკლს ჟინით და ორგანიზაციით ვაწონასწორებთ“.

**პაპუნა ძედია**



ჟოზე მაურინიუს უეფას თასი მხოლოდ სერ ბობისთვის ემეტება





საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ანტი ნიემი ახალი სეზონიდან „არსენალის“ კარს დაიცავს

# გაძვირდა და დაფასდა

## ლემანმა ვენგერს ნიემი გაახსენა

„არსენალს“ „საუთჰემპტონის“ ფინელი გოლკიპერი ანტი ნიემი თავის კარში სურს. ეს სურვილი „მეთოფეთა“ ფრანგ თავკაცს, არსენ ვენგერს ჩემპიონთა ლიგაში „ჩელსისთან“ დამარცხების შემდეგ გაუჩნდა — მოგეხსენებათ, „არსენალის“ გერმანელი მეკარე იენს ლემანი ამ საბედისწერო შეხვედრაში შეცდა და მწვრთნელმაც იგრძნო, რომ ასე აღარ შეიძლება.

32 წლის ნიემიში „საუთჰემპტონი“ 5 მილიონ გირვანქას ითხოვს. აღსანიშნავია, რომ უფრო ადრე შოტლანდიური „ჰართსის“ ძელებს შორის ნადგომ გოლკიპერს კონტრაქტის თანახმად, თავის დღევანდელ გუნდში კიდევ სამი წელიწადი აქვს გასატარებელი. როგორც ამბობენ, ეს თანხა ხელოვნური არ არის და სრულიად შესაძლებელია, რომ მოვაჭრეებმა ხელი ხელს დაჰკრან, რის შედეგადაც ფინელი ზაფხულში გეზს „ჰაიბერისკენ“ აიღებს.

როგორც ვენგერი ამბობს, ესპანელი ხოსე რეიესის ყიდვამ (20 მილიონი გირვანქა) დასახარჯი თანხა უკიდურესად შეამცირა, მაგრამ მწვრთნელი ბოსებთან მიბრუნებულა და მეკარის შესამატებელი ფულიც უთხოვია.

| 5039 | პარმა-ლეჩე | 2,05 | 2,1 | 5,6 | 1,03 | 1,5 | 1,52 |
| 5040 | რეჯინა-უდინეზე | 3,0 | 1,95 | 3,5 | 1,18 | 1,61 | 1,25 |
| 5041 | რომა-კიევო | 1,85 | 2,2 | 5,6 | 1 | 1,39 | 1,57 |
| 5042 | სიენა-სამპდორია | 3,0 | 1,9 | 3,6 | 1,16 | 1,63 | 1,24 |
| 5043 | იუვენტუსი-ლაციო | 2,45 | 2,0 | 4,4 | 1,1 | 1,57 | 1,37 |
| 5044 | პერუჯა-ინტერი | 4,2 | 2,05 | 2,4 | 1,37 | 1,52 | 1,1 |
| 5045 | ვალიადოლიდი-ბარსელონა | 3,8 | 2,05 | 2,6 | 1,33 | 1,54 | 1,14 |
| 5046 | მალაგა-ატლეტიკო | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5047 | სელტა-სევილია | 2,6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1,54 | 1,33 |
| 5048 | ესპანიოლი-ალბასეტე | 2,4 | 2,05 | 4,4 | 1,1 | 1,55 | 1,39 |
| 5049 | ვილიარეალი-დეპორტივო | 3,4 | 2,05 | 2,9 | 1,27 | 1,56 | 1,2 |
| 5050 | ბეტისი-მალიორკა | 2,3 | 2,05 | 4,8 | 1,08 | 1,55 | 1,43 |
| 5051 | სოსიედადი-მურსია | 1,7 | 2,35 | 7,0 | 1 | 1,36 | 1,75 |
| 5052 | რასინგი-ბილბაო | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5053 | სარაგოსა-ვალენსია | 4,4 | 2,05 | 2,4 | 1,39 | 1,55 | 1,1 |
| 5054 | რეალი-ოსასუნა | 1,5 | 3,0 | 7,5 | 1 | 1,25 | 2,14 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5510 | არსენალი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | ევერტონი-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | ბირმინგემი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | ბლექბერნი-ლიდსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | ჩარლტონი-პორტსმუთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | ჩელსი-მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | ლესტერი-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | სიტი-ვულვერჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5527 | აინტრახტი-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | ბოხუმი-მიუნხენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | ლევერკუზენი-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5532 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5533 | ბაიერნი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5534 | ფრაიბურგი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5535 | ჰანოვერი-კიოლნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5536 | ანკონა-ბოლონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5537 | ბრეშა-მოდენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5538 | მილანი-ემპოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5539 | პარმა-ლეჩე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5540 | რეჯინა-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5541 | რომა-კიევო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5542 | სიენა-სამპდორია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5543 | იუვენტუსი-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5544 | პერუჯა-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5545 | ვალიადოლიდი-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5546 | მალაგა-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5547 | სელტა-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5548 | ესპანიოლი-ალბასეტე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5549 | ვილიარეალი-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5550 | ბეტისი-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5551 | სოსიედადი-მურსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5552 | რასინგი-ბილბაო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5553 | სარაგოსა-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5554 | რეალი-ოსასუნა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5412 | ბირმინგემი-მანჩესტერი | 2,4 | 1,6 |
| 5413 | ბლექბერნი-ლიდსი | 1,75 | 2,1 |
| 5414 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 1,85 | 1,95 |
| 5415 | ჩარლტონი-პორტსმუთი | 1,6 | 2,4 |
| 5416 | ჩელსი-მიდლსბრო | 1,35 | 3,2 |
| 5417 | ლესტერი-ფულემი | 1,85 | 1,95 |
| 5418 | სიტი-ვულვერჰემპტონი | 1,4 | 3,0 |
| 5427 | აინტრახტი-ვერდერი | 2,3 | 1,65 |
| 5428 | ბოხუმი-მიუნხენი | 1,6 | 2,4 |
| 5429 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 1,8 | 2,0 |
| 5430 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 1,65 | 2,3 |
| 5431 | ლევერკუზენი-კაიზერსლაუტერნი | 1,4 | 3,0 |
| 5432 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 1,7 | 2,2 |
| 5433 | ბაიერნი-შალკე | 1,35 | 3,2 |
| 5434 | ფრაიბურგი-შტუტგარტი | 2,0 | 1,8 |
| 5435 | ჰანოვერი-კიოლნი | 1,4 | 2,8 |
| 5436 | ანკონა-ბოლონია | 3,2 | 1,35 |
| 5437 | ბრეშა-მოდენა | 1,7 | 2,2 |
| 5438 | მილანი-ემპოლი | 1,15 | 4,0 |
| 5439 | პარმა-ლეჩე | 1,5 | 2,6 |
| 5440 | რეჯინა-უდინეზე | 1,85 | 1,95 |
| 5441 | რომა-კიევო | 1,35 | 3,2 |
| 5442 | სიენა-სამპდორია | 1,8 | 2,0 |
| 5443 | იუვენტუსი-ლაციო | 1,7 | 2,2 |
| 5444 | პერუჯა-ინტერი | 2,2 | 1,7 |
| 5445 | ვალიადოლიდი-ბარსელონა | 2,1 | 1,75 |
| 5446 | მალაგა-ატლეტიკო | 1,8 | 2,0 |
| 5447 | სელტა-სევილია | 1,75 | 2,1 |
| 5448 | ესპანიოლი-ალბასეტე | 1,7 | 2,2 |
| 5449 | ვილიარეალი-დეპორტივო | 1,95 | 1,85 |
| 5450 | ბეტისი-მალიორკა | 1,65 | 2,3 |
| 5451 | სოსიედადი-მურსია | 1,25 | 3,7 |
| 5452 | რასინგი-ბილბაო | 1,8 | 2,0 |
| 5453 | სარაგოსა-ვალენსია | 2,1 | 1,75 |
| 5454 | რეალი-ოსასუნა | 1,25 | 3,7 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5312 | ბირმინგემი-მანჩესტერი | 1,65 | 1,95 |
| 5313 | ბლექბერნი-ლიდსი | 1,7 | 1,9 |
| 5314 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 1,7 | 1,9 |
| 5315 | ჩარლტონი-პორტსმუთი | 1,7 | 1,9 |
| 5316 | ჩელსი-მიდლსბრო | 1,75 | 1,85 |
| 5317 | ლესტერი-ფულემი | 1,75 | 1,85 |
| 5318 | სიტი-ვულვერჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 5327 | აინტრახტი-ვერდერი | 1,55 | 2,1 |
| 5328 | ბოხუმი-მიუნხენი | 1,55 | 2,1 |
| 5329 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 1,55 | 2,1 |
| 5330 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 1,6 | 2,0 |
| 5331 | ლევერკუზენი-კაიზერსლაუტერნი | 1,6 | 2,0 |
| 5332 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 1,6 | 2,0 |
| 5333 | ბაიერნი-შალკე | 1,6 | 2,0 |
| 5334 | ფრაიბურგი-შტუტგარტი | 1,65 | 1,95 |
| 5335 | ჰანოვერი-კიოლნი | 1,6 | 2,0 |
| 5336 | ანკონა-ბოლონია | 1,65 | 1,95 |
| 5337 | ბრეშა-მოდენა | 1,65 | 1,95 |
| 5338 | მილანი-ემპოლი | 1,8 | 1,8 |
| 5339 | პარმა-ლეჩე | 1,65 | 1,95 |
| 5340 | რეჯინა-უდინეზე | 1,65 | 1,95 |
| 5341 | რომა-კიევო | 1,7 | 1,9 |
| 5342 | სიენა-სამპდორია | 1,7 | 1,9 |
| 5343 | იუვენტუსი-ლაციო | 1,65 | 1,95 |
| 5344 | პერუჯა-ინტერი | 1,65 | 1,95 |
| 5345 | ვალიადოლიდი-ბარსელონა | 1,65 | 1,95 |
| 5346 | მალაგა-ატლეტიკო | 1,65 | 1,95 |
| 5347 | სელტა-სევილია | 1,65 | 1,95 |
| 5348 | ესპანიოლი-ალბასეტე | 1,65 | 1,95 |
| 5349 | ვილიარეალი-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |
| 5350 | ბეტისი-მალიორკა | 1,65 | 1,95 |
| 5351 | სოსიედადი-მურსია | 1,7 | 1,9 |
| 5352 | რასინგი-ბილბაო | 1,6 | 2,0 |
| 5353 | სარაგოსა-ვალენსია | 1,65 | 1,95 |
| 5354 | რეალი-ოსასუნა | 1,75 | 1,85 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5112 | ბირმინგემი-მანჩესტერი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 5113 | ბლექბერნი-ლიდსი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5114 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5115 | ჩარლტონი-პორტსმუთი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5116 | ჩელსი-მიდლსბრო | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5117 | ლესტერი-ფულემი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5118 | სიტი-ვულვერჰემპტონი | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5127 | აინტრახტი-ვერდერი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,6 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 5128 | ბოხუმი-მიუნხენი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5129 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5130 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5131 | ლევერკუზენი-კაიზერსლაუტ. | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5132 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5133 | ბაიერნი-შალკე | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5134 | ფრაიბურგი-შტუტგარტი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5135 | ჰანოვერი-კიოლნი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5136 | ანკონა-ბოლონია | 11,0 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 1,8 |
| 5137 | ბრეშა-მოდენა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,0 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5138 | მილანი-ემპოლი | 1,4 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 15,0 | 15,0 |
| 5139 | პარმა-ლეჩე | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5140 | რეჯინა-უდინეზე | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,2 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5141 | რომა-კიევო | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5142 | სიენა-სამპდორია | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5143 | იუვენტუსი-ლაციო | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5144 | პერუჯა-ინტერი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 5145 | ვალიადოლიდი-ბარსელონა | 5,0 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| 5146 | მალაგა-ატლეტიკო | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5147 | სელტა-სევილია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5148 | ესპანიოლი-ალბასეტე | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5149 | ვილიარეალი-დეპორტივო | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5150 | ბეტისი-მალიორკა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5151 | სოსიედადი-მურსია | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5152 | რასინგი-ბილბაო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5153 | სარაგოსა-ვალენსია | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,9 |
| 5154 | რეალი-ოსასუნა | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 15,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |

DAVIS CUP by BNP PARIBAS

დევისის თასი. ევროაფრიკული ჯგუფი. I წრე

# ორი ირაკლის უნო უნო


ქართველთა იმედი ირაკლი ლაბაძე

**იტალია 1:1 საქართველო**

9 აპრილი. კალიარი

**ალესიო დი მაურო — ირაკლი უშანგიშვილი 6:2, 6:0, 6:1**

**ანდრეას სეპი — ირაკლი ლაბაძე 4:6, 5:7, 6:1, 6:2, 2:6**

კალიარის ცენტრალურ კორტზე გუშინ საქართველოს ვაჟ ნაკრებმა იდევისა. მეორე ევროაფრიკული ჯგუფის პირველ ხუთმატჩიან ბრძოლას გელა ელერდაშვილის გუნდი პირველი ჯგუფიდან შარშან დაქვეითებულ იტალიასთან მართავს.

ფავორიტები ბუნებრივია მასპინძლები არიან, ისედაც საკუთარ კედლებში მოთამაშე იტალიელებს ჰქონდათ საფარის არჩევის უფლებაც, თუმც ბოლომდე მაინც არ გაუმართლათ. გუნდის ლიდერ ფილიპო ვოლანდრის ტრავმამ კორტზე გასვლის იმედი გადაუწურა.

ჯერ კიდევ დასაზუსტებელია, შეძლებს თუ ვერა ვოლანდრი ხვალ ერთეულთა შორის გადამწყვეტი შეხვედრის ჩატარებას ირაკლი ლაბაძესთან. პირველ ორ დღეს კი მასპინძლებს მის გარეშე უწევთ ყოფნა.

ვოლანდრის არყოფნაში იტალიელთა პირველნომრობა ალესიო დი მაურომ იკისრა და გაამართლა კიდეც. ჩვენს მეორე ნომერ ირაკლი უშანგიშვილს ისე სძლია, გულშემატკივრებისთვის ნერვიც არ აუტოკებია. საერთაშორისო კლასიფიკაციაში 700-ს ქვემოთ მყოფმა ქართველმა 122-ე ნომერს სამ სეტში ოდენ სამი გეიმი აულო 2:6, 0:6, 1:6. ეს პირველი იტალიურ-ქართული შეხვედრა იყო — მთავარი ბრძოლა კი კალიარის კორტის ტრიბუნებზე შეფენილ მაყურებელს წინ ელოდა. სანერვიულოც რომ გაუჩნდებოდათ, ალბათ არც ამაში შეპარვიათ ეჭვი და არც შემცდარან.

ირაკლი ლაბაძისა და ანდრეას სეპის შეხვედრაში ფავორიტი ქართველი იყო. გვარიანი წინააღმდეგობის მიუხედავად ირაკლიმ პირველი სეტი 6:4 მოიგო, მეორეში კიდევ უფრო გაუჭირდა 7:5, შემდეგ კი უეცრად მოეშვა და უპირატესობის ფლანგვას მოჰყვა. მხარდაჭერით გახელებულმა სეპმაც ჯერ სხვაობა შეამცირა, მერე წონასწორობა აღადგინა და თამაში მეხუთე სეტში გადაიყვანა. ეს იყო და ეს. იტალიელის აღმაფრენა აქ დასრულდა. ლაბაძემ 6:2 იმარჯვა და დღის ანგარიშიც გაათანაბრა.

გუშინდელმა შედეგებმა დაამტკიცა, რომ იტალიურ-ქართულ დაპირისპირებაში გამარჯვებული კვირას გამოვლინდება. დღეს კი მხოლოდ ერთი შეხვედრაა. თბილისის დროით 16:45 საათზე ერთმანეთს წყვილები გაეჯიბრებიან. მასპინძლებმა ორივე ახალი კაცი დააყენეს, ჯორჯიო გალიმბერტი და მასიმო ბერტოლინი. გელა ელერდაშვილმა კი ისევ ორი ირაკლი ირჩია. არადა ლაბაძეს გუშინდელი თამაში სამსაათნახევარი გაუგრძელდა, თან ხვალაც პირველ იტალიელს ხვდება. იმედია გაუძლებს და შარშან მის მიერვე დამკვიდრებულ ტრადიციას გააგრძელებს. შეგახსენებთ, მესამე ჯგუფში ლაბაძემ ყველა თამაში მოიგო.

**ოთარ მაღლაკელიძე**

BAUSCH AND LOMB CHAMPIONSHIPS

ამელია აილენდი. თიხნარი. საპრიზო 585 ათასი $

# კონჩიტას რეკორდი წამოჩიტულმა დაჩუტა

**მესამე წრე**

**ჟუსტინ ენენ-არდენი (1, ბელგია) — კონჩიტა მარტინესი (16, ესპანეთი) 2:6, 7:5, 6:3; სერენა უილიამსი (2, აშშ) — კაროლინა სპრემი (ხორვატია) 6:1, 7:5; ამელი მორესმო (3, საფრანგეთი) — ბარბორა სტრიჩოვა (ჩეხეთი) 6:3, 6:4; პაოლა სუარესი (9, არგენტინა) — აი სუგიამა (6, იაპონია) 7:5, 7:6 (10:8); ნადია პეტროვა (7, რუსეთი) — პეტრა მანდულა (უნგრეთი) 6:1, 6:4; ვერა ზვონარიოვა (8, რუსეთი) — პატი შნიდერი (12, შვეიცარია) 6:2, 6:3; სილვია ფარინა ელია (10, იტალია) — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 6:2, 6:2**

მხოლოდ რამდენიმე ქულა აშორებდა თავისი მეშვიდასე საკარიერო გამარჯვებისგან სულ რაღაც ერთ კვირაში გასაოცდათორმეტწლისებელ ვეტერან ესპანელ კონჩიტა მარტინესს.

ეს ქულები რომ ვინმე ისე-რა მეჩოგნესთან ყოფილიყო მოსახვეჭი, უიმბლდონის 1994 წლის ჩემპიონს დასტურ არ გაუჭირდებოდა, მაგრამ მისდა საუბედუროდ, საიუბილეო გამარჯვებისთვის ბრძოლა იმ დღეს მას მაინცდამაინც ამქრის პირველოსან ჟუსტინ ენენ-არდენთან მოუხდა.

ჭინკა ჟუსტინს კი მოტივაცია არასოდეს ჰკლებია და სერენა უილიამსთან სავარაუდო ფინალისთვის მოჩოგნავეს ჭარმაგი მარტინესის საზეო მისწრაფებანი სულ ცალ ჩოგანზე რომ დაეკიდა, აბა, ეგ რა გასაკვირი იქნებოდა.

ასე რომ — მარტინესის უკიდურესი გარჯის მიუხედავად, ჟუსტინმა გადამწყვეტ მომენტში აზრზე მოსვლა, მატჩის სადავეები უკუპყრობა და უკუღმა დატრიალებული ჩარხის წალმა შეტრიალება შეძლო. მასთან თიხნარზე თამაში ყოველთვის ძნელიაო, ამბობდა მერე. საიმისოდ, რათა ალლო ამელო და ყველაფერი დამელაგებინა,- იმაზე მეტი დრო დამჭირდა, ვიდრე საჭირო იყოო.

არადა, მარტინესს შანსი ჰქონდა, ღია პირველობათა ეპოქაში (ანუ 1969 წლიდან ვიდრე დღემდე) შვიდას-შვიდასი საერთეულო გამარჯვების მომქუჩებულ ექვს ლეგენდარულ მდედრს შეერთებოდა. თუმცა იმედია, რომ დარჩენილ ერთ მოგებას ის მომავალ კვირაში, ჩარლსტონობაზე მიირიცხავს. ეგ მით უფრო, რომ პირველ წრეებში იქ შედარებით იოლ მეტოქეებთან მოუწევს შეხლა.

ისე კი — ეს მათი მეექვსე ორთაბრძოლა გახლდათ და ენენი მარტინესს უკვე 6:0 უგებს.

სხვაფრივ — ამჟამინდელ პირველოსანს ჯერ-ჯერობით ტოლს არ უდებს ამქრის ვირტუალური უსტაბაში სერენა უილიამსიც. სერენამ ამ ჯერზე ხორვატი კაროლინა სპრემი დაიმორჩილა და ამგვარად — თუკი დაბრუნების შემდეგ ნათამაშებ რვა მატჩს დავუჯამებთ — მეტოქეთათვის ერთ სეტზე მეტი ჯერ არ დაუთმია.

და ბოლოს — იმ დღეს მხოლოდ ერთი მატჩის დასრულება არ მოხერხდა. მეოთხე ნომრად განთესილი ლინდსი დევენპორტი ავსტრალიელ ალიშა მოლიკს 6:4, 5:5 უგებდა, როცა კორტზე წვიმამ მოასხა და მოთამაშიან-მაყურებლიანად ყველას უცერემონიოდ აკრეფინა.

**ლევან ბელაურაძე**



# ალბათ მეტიც შემეძლო

## ნანა ძაგნიძე კაცებშიც იოსტატებს

*დრეზდენში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე ჩვენებურთაგან ყველაზე მაღალი შედეგი 17 წლის ნანა ძაგნიძემ აჩვენა. ახალგაზრდა ქართველი ჩემპიონატზე მეხუთე ნომრად იყო განთესილი და ასპარეზობაც ამავე პოზიციაზე დაასრულა. ამ ასაკის მოჭადრაკისთვის კი ევროპაში მეხუთეობა ალბათ არ უნდა იყოს ურიგო შედეგი. თუმც ამის თაობაზე ჯობს, თვითონ ძაგნიძეს მოვუსმინოთ*

**— მოგილოცოთ მეხუთე ადგილი?**

— რა ვიცი, ვითომ მოსალოცია?

**— ალბათ, მეტიც შეგეძლო...**

— ალბათ კი, თავიდან ცუდად ვითამაშე და მხოლოდ ბოლოსკენ შევძელი მდგომარეობის გამოსწორება.

**— რა იყო ამის მიზეზი?**

— ჩემპიონატზე მოუმზადებელი წავედი, საქართველოში ქალთა ჩემპიონატი ჩავარდა, შემდეგ ფინანსური მხარეც მოუგვარებელი იყო და დრეზდენში გავემგზავრებოდი თუ არა, ჩემპიონატამდე რამდენიმე დღით ადრე გადაწყდა. ფაქტობრივად ხეირიანად ვერც მოვემზადე და თავიდან ამიტომ წამივიდა ცუდად საქმე. თუმც ბოლო სამ ტურში ძალიან მოვინდომე, თანდათან ფორმაშიც შევედი და ზედიზედ სამი პარტია მოვიგე. ბოლო ტურებში ჩემზე დიდი გავლენა იქონია ზურაბ აზმაიფარაშვილის გამოჩენამ. იგი მქომაგობდა და საჭირო რჩევებსაც მაძლევდა. ამ მეხუთე ადგილით კი ქალთა მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოვიპოვე და მამაკაცთა შორის საერთაშორისო ოსტატიც გავხდი.

**— მესამე ადგილის მოგებაც შეგეძლო?**

— მესამე ადგილისთვის ტაი-ბრეიკში ევროპის 2002 წლის ჩემპიონ ანტოანეტა სტეფანოვას შევხვდი და პირველივე პარტიაში უცებ მოვინდომე მოგება. სტეფანოვას თავიდანვე დიდი ძალებით შევუტიე, თუმც გამოცდილებით მაჯობა და დავმარცხდი. განმეორებით შეხვედრაში კი გამარჯვებასთან ახლოს ვიყავი, მაგრამ ყაიმი ვითამაშე.

საბოლოოდ მეხუთე ადგილისთვის ირინა სლავინას დავუპირისპირდი, რომელსაც ორივე პარტიაში იოლად მოვუგე. ისე, ვისაც უფრო ძლიერი ნერვები აქვს ტაი-ბრეიკსაც ის იგებს.

**— მეორე ტურში აზერბაიჯანელ ზეინაბ მამედიაროვასთან წაგებაზე რას იტყვი? შარშან მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მას ხომ თავისივე ქვეყანაში მოუგე.**

— ზეინაბთან ცუდად ვითამაშე. თავიდან პაიკი წავაგე, შემდეგ თანდათან კი გამოვასწორე თამაში და შამათსაც ვუსვამდი, მაგრამ ცაიტნოტში აღმოვჩნდი და...



**— მეშვიდე ტურში მაია ლომინეიშვილსაც დაუპირისპირდი.**

— და მერვე სვლაზევე მეგობრული ყაიმით დავასრულეთ შეხვედრა.

**— ახალი ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი იმსახურებდა ამ ჯილდოს?**

— კოსტენიუკი უფრო ტაქტიკური მოთამაშეა და იმხელა კლასი არა აქვს, როგორც მეორეზე გასულ ზაოგინ პენგს. ოქროს მედალს კი ალბათ უფრო პენგი იმსახურებდა. მთელი ჩემპიონატის განმავლობაში იგი ლიდერობდა ცხრილს და კოსტენიუკი მხოლოდ ბოლო ორ ტურში დაეწია. ამან კი, ცხადია, ფსიქოლოგიურად იმოქმედა პენგზე, ტაი-ბრეიკში საკმაოდ ნერვიულობდა და საკუთარი ძალები სრულად ვერ წარმოაჩინა.

**ლაშა გეგეჭკორი**



# მორჩა ჭიდაობა, წადით სახლში

შვედეთის ჩრდილოეთით, ფინეთის საზღვართან მდებარე პატარა ქალაქ ხაპარანდაში გუშინწინ დაწყებული ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი საქართველოს ნაკრებისთვის უკვე დასრულებულია. შვედეთში არასრული და ისიც ექსპერიმენტული შემადგენლობით ჩასული გუნდიდან საუკეთესო შედეგი ყველაზე გამოცდილმა ტარიელ მელელაშვილმა (74კგ) და ლაშა ლომაძემ (60კგ) აჩვენეს. მათ ჯგუფური ეტაპი გადალახეს და მეოთხედფინალში დამარცხდნენ.

მელელაშვილმა, მართალია, ჯგუფში მხოლოდ ერთი ბრძოლა მოიგო, მაგრამ ისე მოხდა, ესეც საკმარისი აღმოჩნდა. მეოთხედფინალში კი გერმანელ მაქს შვინდთან დამარცხდა. ლომაძემ აზერბაიჯანელ ვიტალი რაჰიმოვსა და ავსტრიელ ტომაშ კატანს სძლია და სომეხ ვაჰან იუჰარიანთან ველარას გახდა.

ქვეჯგუფში ჩარჩნენ პაატა ბიწაძე (55კგ), ომარ ბაკურიძე (66კგ) და გიორგი ჯობავა (მძიმე). 84 და 96 კილოგრამებში კი მოჭიდავე საერთოდ არ გვყოლია.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ორლანდოშია ფერები მუქი იუტამ ვერ აანთო შუქი

8 აპრილი

**ნიუ ჯერსი 101:81 ორლანდო**

**ნიუ ჯერსი:** კიდი (8), კიტლზი (19), ჯეფერსონი (21), მარტინი (14), კოლინზი (2); სკალაბრინი (15), ჰარისი (10), როჯერსი (5), უილიამსი (3), არმსტრონგი (2), პლანინიჩი (2), სლეი

**ორლანდო:** ლუ (15), სტივენსონი (6), ბოგანსი (10), ჰოვარდი (21), დეკლერკი (2); გუდენი (20 ქულა, 12 მოხსნა), ფაჩულია (15 წუთი, 3 ქულა, 3 მოხსნა, 1 დაფარება), რუქსი (2), გუინისი (2), იონსენი

**საკრამენტო 86:94 მინესოტა**

**საკრამენტო:** ვებერი (21 ქულა, 11 მოხსნა), ბიბი (19),

**მინესოტა:** კასელი (29), გარნეტი (24 ქულა, 17 მოხსნა),?

**დალასი 117:94 იუტა?**

**დალასი:** ნოვიცკი (27), ჯემისონი (25)

**იუტა:** ბელი (18), უილიამსი (17)

პლეი ოფში გასვლის ათწლოვან იუბილეს აი, ასე დაჩაჩანაკებული და დაოსებული ხვდება „ორლანდო მეჯიქი". „ჯადოები" მაშინ ვერ გასცდნენ ბოლო ადგილს, ტრეისი მაკგრეიდი 30-ქულიან თამაშებს საალდგომო ნამცხვრებივით რომ აცხობდა და მან ტრავმის გამო ნაადრევად რომ დაასრულა სეზონი, საბოლოოდ შეურიგედნენ 29-ე გუნდის „წოდებას". სეზონის დასაწყისიც ხომ გახსოვთ — ზედიზედ 19 წაგება! „ორლანდომ" როგორც დაიწყო, ასე ამთავერბს. „ნიუ ჯერსისთან" შეხვედრის შემდეგ მიჯრით 12 წაგება ჩაეწერა და ლიგაში მხოლოდ მასზე ძლიერი გუნდის, „ჩიკაგოს" გადასწრების თეორიული შანსიღა დარჩა.

არადა, ათი წლის წინანდელს რომ იხსენებენ, ორლანდოს ფანები, ვარდისფერ ნისლში დაცურავენ. მაშინ შაკილ ონილი ჰყავდათ (ცოტაა?), პლეი ოფში გადიოდნენ და სამყაროს სულ სხვა ფერებით ხედავდნენ...

მწვრთნელის ნდობააღდგენელმა ზაზა ფაჩულიამ 15 წუთი ითამაშა. მართალია, ზაზას არ ჰქონდა გამაოგნებელი მატჩები, მაგრამ მისთვის პირველმა სეზონმა მაინც უკეთ ჩაიარა, ვიდრე მისი ორლანდოსთვის. სხვათა შორის, ეს სეზონი „მეჯიქისთვის" მე-15 და ყველაზე ნაცრისფერი იყო.

სხვათათვის კი იცოცხლე, ახლა ჩქეფს. აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც ჯერაც არ გამოვლენილა ყველა მეპლეიოფე და თითო კონფერენციაში სამი-ოთხი გუნდი ერთმანეთს და სხვებსაც კბილებით ეომება.

„იუტა ჯაზს" ჰაერივით სჭირდებოდა გასვლაზე „დალას მავერიკსის" მოგება, მაგრამ მთელი თამაში მეტოქის დაკრულზე ცეკვავდა. „დალასს" თვითონ პლეი ოფის პირველ წრეში შედარებით იოლი მეტოქე შეხვდეს, ასე რომ, დონ ნელსონის ვარსკვავთკრებულმა უვარსკვლავო, თუმც კერკეტი მეტოქე პირველივე მეოთხედში 35:18 გატეხა და მერეც მთელი თამაში თავად კარნახობდა მატჩის ტემპს.

„იუტა" პლეი ოფის მერვე საგზურისთვის დასავლეთში „დენვერისა" და „პორტლენდს" ედავება და სანამ „ჯაზი" ამ თამაშს წააგებდა, სამივეს 41 მოგება და 37 წაგება ჰქონდა. ახლა „იუტას" კალენდარიც ვერ უწყობს ხელს. ისე, იოლი თამაშები არც კონკურენტებს დარჩათ, რაც ქვემოთაც ჩანს. სხვათა შორის, მეშვიდეადგილოსან „ჰიუსტონსაც" არა აქვს თავი პლეი ოფში. ოთხი თამაშიდან ორში „დენვერსა" და „იუტას" ხვდება და კარგ ფორმაშიც ვერაა.

დიდი ბრძოლები მიდის სულ ზევითა ადგილებისთვისაც. კონფერენციაში პირველი ადგილი, მოგეხსენებათ, მოედნის უპირატესობას იძლევა ყველა მეტოქესთან და ამ პირველი ადგილისთვის პრეტენზიას ერთბაშად ოთხი გუნდი აცხადებს რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე კვირით ადრე. ამ ოთხეულში ორ ყველაზე მარჯვე. 8 აპრილს ერთმანეთს შეჯახა. „საკრამენტოს" ყველა ჯანმრთელი ჰყავდა, სეზონის ძირითადი ნაწილის გამომტოვებელმა კრის ვებერმა მშვენივრად ითამაშა და ახლახან გამოშუშებულმა ბობი ჯექსონმაც 10 ქულა გაილო მხოლოდ 13 წუთში, მაგრამ გამარჯვებია მაინც კევინ გარნეტის „მინესოტას" დარჩა. შესაბამისად ლიდერთა რბოლაშიც „მგლები" გაიჭრნენ წინ. „მინესოტას" ასე ზედა საფეხურზე არასდროს დაუმთავრებია სეზონი და „მგლებიც" იმ იმედით ცოცხლობენ, რომ ცხოვრებაში პირველად გადალახავენ პლეი ოფის პირველ წრეს. ისინი ბოლო ექვსი წელია, პირველივე შემხვედრთან მარცხდებიან. ამჯერად მათ შედარებით სუსტი შეხვდებათ.

**ქოტე ყორშია**

### დენვერის მატჩები

| | |
|---|---|
| 9 აპრილი | ჰიუსტონი* |
| 10 აპრილი | პორტლენდი |
| 12 აპრილი | საკრამენტო |
| 14 აპრილი | სან ანტონიო* |

### იუტას მატჩები

| | |
|---|---|
| 10 აპრილი | ჰიუსტონი |
| 12 აპრილი | მინესოტა* |
| 14 აპრილი | ფინიქსი |

### პორტლენდის მატჩები

| | |
|---|---|
| 9 აპრილი | სან ანტონიო* |
| 10 აპრილი | დენვერი* |
| 12 აპრილი | სან ანონიო |
| 14 აპრილი | ლეიკერსი |

* — სტუმრად




სემ კასელის „მინესოტა" ყველა ბარიერის გადალახვით იმუქრება

# ვარსკვლავები ვერის ბაღში

29 მაისს ვერის ბაღში მდებარე მიხეილ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო დარბაზში გაიმართება „საქართველოს ვარსკვლავთა მატჩი", რომელიც შედგება შემდეგი შეჯიბრებებისგან:

— კონკურსი სამქულიანების სროლაში
— კონკურსი ჩატენვებში
— მინი-ტურნირი „ქალი, ვაჟი, ვეტერანი"
— „ვარსკვლავთა მატჩი"

მოთამაშეები და მწვრთნელები შეირჩევიან გულშემატკივართა გამოკითხვით, რომელსაც ჩაატარებენ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პარტნიორი გამოცემები — „სარბიელი", „ოლიმპი" და „მთავარი გაზეთი სპორტი".

### პრეტენდენტი მოთამაშეები დასახელებულია სამ ამპლუაში

#### უკანა ხაზი

ირაკლი ხოშტარია (დინამო)
კოტე ტულუში (დინამო)
არჩილ ჟღენტი (დინამო)
რამაზ გოგობერიშვილი (დინამო)
გიორგი გამყრელიძე (დინამო)
ირაკლი ბერიშვილი (ბასკო)
დავით ბერიშვილი (ბასკო)
ბუბა ბერიშვილი (ბასკო)
გიორგი ნიკოლაძე (სტუ-ჯეოსელი)
შიო ხეცურიანი (სტუ-ჯეოსელი)
დავით თორთლაძე (თსუ)
ირაკლი საყვარელიძე (თსუ)
ირაკლი მაისურაძე (თსუ)
მამუკა აბრამიძე (თსუ)
ზაზა გაბისონია (რუსთავი)
დავით არწივიძე (რუსთავი)
გოჩა წოწელია (მაკაბი)
ირაკლი სორდია (სსუ)

#### ფორვარდები

ვლადიმერ ბეჟანიშვილი (დინამო)
ვახტანგ მინაშვილი (დინამო)
ლაშა ლოსაბერიძე (დინამო)
ირაკლი კეიდია (დინამო)
ლაშა კეშელავა (ბასკო)
ნიკა ჩხატარაშვილი (ბასკო)
ჟოლივეტ ტუჯანი (ბასკო)
გიორგი მარკოიშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ზვიად ბაბიაშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ლუკა შანიძე (სტუ-ჯეოსელი)
ამროსი ორმოცაძე (თსუ)
გიგი ნაცვლიშვილი (თსუ)
ლევან ტყეშელაშვილი (რუსთავი)
მიხეილ ბერუაშვილი (რუსთავი)
ვასილ ოთიურიძე (მაკაბი)
ვლადიმერ სუხიშვილი (მაკაბი)

#### ცენტრები

დავით მუშკუდიანი (დინამო)
ივანე აბულაძე (დინამო)
ვალერი კილაძე (დინამო)
დავით ბერძენიშვილი (ბასკო)
დავით იმნაძე (ბასკო)
პლასიდე როდუმტა (ბასკო)
ირაკლი ჯაფარიძე (სტუ-ჯეოსელი)
არმენ ოგასენიანი (სტუ-ჯეოსელი)
გულივერ ახალკაცი (სტუ-ჯეოსელი)
კახა შენგელია (თსუ)
დავით ერქვანია (სსუ)
ვიქტორ კოლუაშვილი (ქუთაისი)

#### მწვრთნელები

ნუგზარ კანდელაკი (ბასკო)
დრაჟენ ბრაიკოვიჩი (დინამო)
ნუგზარ ჭეიშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ოთარ ხმელიძე (რუსთავი)
ზაურ დოლაბერიძე (ქუთაისი)
მამუკა ტურაშვილი (თსუ)
ჯამლეტ ხუხაშვილი (მაკაბი)
ვაჟა კვარაცხელია (სსუ)
ვაჟა მხეიძე (მაკაბი)
ზურაბ ტომარაძე (დინამო)
დავით უსტიაშვილი (დინამო)
გია ჯავახიშვილი (თსუ)
ვალერი ალთაბაევი (სსუ)
დავით რიბაშვილი (ბასკო)
ნიკო ჩერქეზიშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ბადრი კიკვიძე (რუსთავი)
შოთა ჯავახიშვილი (ქუთაისი)

### ანკეტა

უკანახაზელი _ _ _ _ _ _ _
ფორვარდი _ _ _ _ _ _ _ _ _
ცენტრი _ _ _ _ _ _ _ _ _ _
მწვრთნელი _ _ _ _ _ _ _ _ _

შეავსეთ ანკეტა თქვენს მიერ არჩეული კალათბურთელებით (თითო ამპლუაში თითო მოთამაშე) და მწვრთნელით და მიიტანეთ ან ფოსტით გააგზავნეთ შემდეგ მისამართზე: ალ. ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული, „სარბიელი"

ყველაზე მეტი ხმის მიმღები 12-12 კალათბურთელი ორ გუნდში შემდეგი პრინციპით გადანაწილდება: პირველ გუნდში ითამაშებენ ჩემპიონატში I, IV, V, VIII ადგილებზე გასული კლუბების კალათბურთელები, მეორეში II, III, VI, VII ადგილზე გასულთა მოთამაშეები.

გუნდებს უხელმძღვანელებს ყველაზე მეტი ხმის მიმღები ოთხი მწვრთნელი.

**გამოკითხვა შეწყდება 20 მაისს**

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| **ნიუ ჯერსი** | 46 | 32 | 59,0 |
| **მაიამი** | 39 | 39 | 50,0 |
| **ნიუ იორკი** | 37 | 42 | 46,8 |
| **ბოსტონი** | 35 | 43 | 44,9 |
| ფილადელფია | 33 | 45 | 42,3 |
| ვაშინგტონი | 24 | 54 | 30,8 |
| ორლანდო | 19 | 60 | 24,1 |
| **ცენტრალური** | | | |
| **ინდიანა** | 58 | 21 | 73,4 |
| **დეტროიტი** | 51 | 27 | 65,4 |
| **მილუოკი** | 41 | 38 | 51,9 |
| **ნიუ ორლეანი** | 38 | 40 | 48,7 |
| კლივლენდი | 32 | 46 | 41,0 |
| ტორონტო | 31 | 47 | 39,7 |
| ატლანტა | 25 | 53 | 32,1 |
| ჩიკაგო | 22 | 56 | 28,2 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **შუა-დასავლეთი** | | | |
| **მინესოტა** | 55 | 24 | 69,6 |
| **სან ანტონიო** | 53 | 25 | 67,9 |
| **დალასი** | 50 | 28 | 64,1 |
| **მემფისი** | 50 | 28 | 64,1 |
| ჰიუსტონი | 43 | 35 | 55,1 |
| დენვერი | 41 | 37 | 52,6 |
| იუტა | 41 | 38 | 51,9 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| **საკრამენტო** | 54 | 24 | 69,2 |
| **ლეიკერსი** | 53 | 25 | 67,9 |
| პორტლენდი | 41 | 37 | 52,6 |
| გოლდენ სტეიტი | 35 | 43 | 44,9 |
| სიეტლი | 35 | 44 | 44,3 |
| კლიპერსი | 27 | 52 | 34,2 |
| ფინიქსი | 26 | 52 | 33,3 |

*მთავრული შრიფტით გამორჩეულია პლეი ოფში გასული გუნდები*



10 აპრილი. ვერის ბაღი

**დინამო — თსუ**

*მოწინავე ოთხეულში პლეი ოფამდე არაფერი შეიცვლება, თუმც მხოლოდ სატურნირო ვითარება ხომ არაა საქმე, ლიდერთა მატჩებს თავისი წილი ინტრიგა ყოველთვის ახლავს. დღევანდელ „დინამო" — თსუ-ს მონაწილენიც გვპირდებიან, რომ ბოლომდე დაიხარჯებიან და მაყურებელს მოწყენის საშუალებას არ მისცემენ. კაფე „მსო ვლიო სპორტში" გამართულ პრესკონფერენციაზე მწვრთნელებთან ერთად ამ გუნდების ის მოთამაშეებიც მოიწვიეს, რომლებიც ჭაბუკთა ნაკრებში თამაშობენ. დინამოელმა ლაშა გამყრელიძემ და თსუ-ელმა ირაკლი საყვარელიძემ სადღეისო მატჩზეც ილაპარაკეს და ხორვატიულ ამბებზეც...*

# არ ჩავბარდებით!

## თსუ დინამოს ბრძოლას ჰპირდება

**მამუკა ტურაშვილი**, თსუ-ს მთავარი მწვრთნელი: „გუნდში ფინანსური პრობლემებია, რაზეც კონკრეტულად მე ვერ ვისაუბრებ. მოგეხსენებათ, ირაკლი საყვარელიძე და ბესიკ ლეჟავა ხორვატიაში იყვნენ ჭაბუკთა ნაკრებში, ერთი-ორი ტრავმირებულიც გვყავდა და „დინამოსთან" მატჩისთვის სათანადოდ ვერ მოვემზადეთ. თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ მოსაგებად არ ვითამაშებთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ მატჩის შედეგს სატურნირო თვალსაზრისით პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს, პრინციპულ მეტოქესთან მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ."

*„დინამოს" მწვრთნელ დავით უსტიაშვილს ბევრი არ ულაპარაკია. თავის კოლეგა ზურაბ ტომარაძეს გარჯა შეუქო, მე და ბრაიკოვიჩის ხორვატიაში ყოფნისას მან გუნდი კარგად მოამზადა, ხვალ მხოლოდ მოგებას ვგეგმავთო.*

*ჯერი მოთამაშეებზეც მიდგა, თუმც ჭაბუკებმა მოკლედ მოჭრეს...*

**ირაკლი საყვარელიძე**, თსუ-ს უკანახაზელი: „მიუხედავად პრობლემებისა, „დინამოსთან" მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობთ. მერე რა, რომ სატურნირო თვალსაზრისით ამ მატჩს მნიშვნელობა არ აქვს, ჩვენი ამბიცია სწორედ ჩემპიონთან უნდა გამოვავლინოთ."

**ლაშა გამყრელიძე**, „დინამოს" გამთამაშებელი: „მართალია, მე ხორვატიაში ვიყავი და დინამოელებთან არ მივარჯიშია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ხვალ ჩემიანებს მოგებაში დავეხმარები. საინტერესო მატჩი უნდა იყოს, თსუ-ს გამოცდილი შემადგენლობა ჰყავს და იოლად არაფერს დაგვითმობს."

*შემდეგ საპრესკონფერენციო მაგიდასთან ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელი დავით უსტიაშვილი და მოთამაშეები დარჩნენ, რომლებმაც ხალისით ილაპარაკეს ხორვატიაში მიღწეულ წარმატებაზე და ევროჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც კარგად გარჯას დაგვპირდნენ.*



### ინგლისი

პრემიერლიგა. XXXII ტური

ევერტონი 3:1 ტოტენჰემი

I დივიზიონი. XLI ტური

სანდერლენდი 3:0 შეფილდ იუნ.

ნორვიჩი 2:0 უიგანი

III დივიზიონი. XLI ტური

ბერი 2:1 ტორკი

ოქსფორდი 0:0 ბოსტონი

კემბრიჯი 2:0 იორკი

კონფერენსლიგა. XXXIX ტური

ჰალიფაქსი 2:1 ლეი

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXX ტური

მორეირენსე 2:1 ბოავიშტა

### ჰოლანდია

I დივიზიონი. XXIX ტური

როდა 4:0 ნაიმეგენი

II დივიზიონი. XXXII ტური

დენ ბოსხი 1:2 აპელდორნი

მაასტრიხტი 2:0 ეინდჰოვენი

კამბური 2:2 ჰერაკლესი

გრააფსხაპი 4:2 ტელსტარი

ვეენდამი 1:1 ოსი

ჰაარლემი 3:1 ვენლო

სპარტა 3:4 ემენი

### ბელგია

იუპილერლიგა. [illegible] ტური

სტანდარდი 1:1 ანდერლეხტი

გენკი 1:0 გენტი

### ავსტრია

I დივიზიონი. XXXIII ტური

ლეობენი 2:0 კაპფენბერგი

### შვედეთი

ალსვენსკა. II ტური

გიოტებორგი 3:0 ელფსბორგი

ჰალმსტადი 1:0 ტრელებორგი

მალმიო 5:1 იორებრო

### ირლანდია

პრემიერლიგა. V ტური

უოტერფორდი 1:1 ლონგფორდი

დროჰედა 1:0 შემროკი

შელბურნი 2:1 დუბლინი

სენტ პატრიკსი 0:2 კორკ სიტი

### თურქეთი

სუპერლიგა. XXIX ტური

რიზე 1:0 ფენერბაჰჩე

### სლოვენია

სი მობილ ლიგა. XXIII ტური

ოლიმპია 2:1 კოპერი

პუბლიკუმი 0:1 პტუი

## ევროლიგა

მეორე ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 7 - 8 აპრილი

# ტიროდა ლიტვა

## ყველაფერი იასიკევიჩუსმა შეჭამა

**კალათბურთი** სავსეა მოულოდნელობებით, თუმც რაც ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის დასკვნით ტურში მოხდა, სასწაული უფროა. ლაპარაკია თელ ავივში გამართულ მატჩზე — „მაკაბი" „ჟალგირისს" მასპინძლობდა...

სანამ ამ ჯახის მნიშვნელობაზე გეტყოდეთ, შეგახსენებთ, რომ სწორედ თელ ავივი მასპინძლობს წლეულს ევროლიგის ოთხთა ფინალს. ებრაელებს არ აღელვებთ კამიკაძე პალესტინელებისა და ფეთქებადი სიტუაცია, თელ ავივში კალათბურთი ფანატიკურად უყვართ და ამ თამაშის სანახავადაც 10 ათასი კაცი მოგროვდა.

გამარჯვებას კი, იცოცხლეთ, ოქროს ფასი ჰქონდა. ამ მატჩის მომგების იყო ოთხთა ფინალის საგზური, რაც მაკაბელთათვის უძვირფასესი საჩუქარი იქნებოდა საპასექოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი „ჟალგირისის" გარდა დიდ უხერხულობაში ჩავარდებოდა ყველა — საოთხთაფინალოდ გამზადებული ებრაელობა, თავად „მაკაბი" და, რა თქმა უნდა, ტურნირის ორგანიზატორი ევროლიგის ხელმძღვანელობა. ზუსტად ასე ბოლო მატჩამდე მიიყვანა საქმე შარშანდელი ოთხთა ფინალის მასპინძელმა „ბარსელონამ", თუმც მაშინ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, კატალონიელებმა საბერძნეთში „ოლიმპიაკოსი" დაამარცხეს.

საბოლოოდ ახლაც მშვიდობიანად დასრულდა ყველაფერი, ოთხთა ფინალის მასპინძელმა გუნდმა იმარჯვა და შინაურ კედლებში საჩემპიონო მატჩების ცქერა ტრიბუნიდან აღარ მოუწევს.

გამარჯვებაცაა და გამარჯვებაც — „მაკაბიმ" ზედაძაბულ, უკვე ლამის წაგებულ ბრძოლაში იმარჯვა. მთელი თამაში რომ „ჟალგირისი" ლიდერობდა, ამას თავი დავანებოთ, ბოლო წამები ფატალური გამოდგა ლიტველთათვის, თუმც ერთი ბალტიელი, მაკაბელი შარუნას იასიკევიჩუსი მეცხრე ცაზე ალაზევა.

...თამაშის დასრულებამდე 4 წამით ადრე „ჟალგირისი" 3 ქულას იგებდა, ლიტველი გედრიუს გუსტასი კი საჯარიმო ხაზზე იდგა. მთელი ლიტვა ოთხთა ფინალში გასვლას ზეიმობდა და ამის საფუძველი, რა თქმა უნდა, ჰქონდა, მაგრამ მოხდა საოცრება, გუსტასმა ორივე სროლა ააცილა, ებრაელების მოხსნილი და „ჟალგირისის" ნახევარზე მყის გადატანილი ბურთი დერიკ შარფმა უშორესი მანძილიდან ჩააგდო. დამატებითი დრო, ლიტველთა ცრემლი და, რა თქმა უნდა, პირწმინდად წაგებული ოვერტაიმი.



შინ დარჩენას ხარობს თელ ავივის „მაკაბი"

ბედის ბორბალის ასეთმა უცაბედმა დატრიალებამ ბალტიელები ისე გატეხა, რომ დამატებითი დრო 13:5 წააგეს. ტიროდა კარიერის ბოლოს მორიგ გმირობაზე მეოცნებე და მანამდე არაერთი გმირობის გამჩარხველი არვიდას საბონისი, რომელმაც მთელი თამაშის განმავლობაში თავბრუ ახვია ებრაელებს, „ჟალგირისი" თავისი მრავლისმხანველი მხრებით ათრია, მაგრამ...



ეჰ, არვიდას!

ნამატჩევს, მთელი ლიტვა რომ ტიროდა, მხოლოდ ერთის გულში ენთო სიხარულის ცეცხლი. შარუნას იასიკევიჩუმა კარიერის საუკეთესო მატჩი სწორედ მშობლიურ „ჟალგირისთან", თანაც ოთხთა ფინალში გამსვლელ მატჩში ითამაშა. ამ ვერცხლისწყალივით მოუსვენარმა გამთამაშებელმა 29 წუთში 37 ქულა გააკეთა.

თელ ავივის დარჩენილი ორი საგზური იტალიურ გუნდებს — „სკიპერსა" და „სიენას" ერგოთ. ორივე მათგანმა გასვლაზე იმარჯვა, თუმც „სკიპერს" დიდი ოფლისღვრა დასჭირდა საფრანგეთში „პო ორტეზის" დასამარცხებლად. მაშ ასე, 29 აპრილს თელავივურ ოთხთა ფინალში მოსკოვური ცსკა, ებრაული „მაკაბი" და ორი იტალიური კლუბი — „სიენა" და „სკიპერი" ჩაებმებიან.

**ირაკლი პერტაია**

### D ჯგუფი

**ციბონა 81:72 ცსკა**

ციბონა: კუში (21), ვრანკოვიჩი (16)

ცსკა: მონია (16)

**ტაუ 87:82 ოლიმპიაკოსი**

ტაუ: დავიდი (19), მასიაუსკასი (17)

ოლიმპიაკოსი: ლიადელისი (29)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 6 | 5 | 1 | +41 | 11 |
| ტაუ | 6 | 4 | 2 | +27 | 10 |
| ციბონა | 6 | 2 | 4 | -27 | 8 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 1 | 5 | -41 | 7 |

### E ჯგუფი

**პო ორტეზი 80:81 სკიპერი**

პო ორტეზი: ლუკოვსკი (18), პიეტრუსი (17)

სკიპერი: ბაზილე (18), მოტოლა (17)

**ეფესი 68:58 ოლიმპია**

ეფესი: პრკაჩინი (22), კუქო (14)

ოლიმპია: რაჰემიჩი (14), ბოისა (19 წუთი, 3 ქულა, 2 მოხსნა, 3 პასი)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სკიპერი | 6 | 5 | 1 | +27 | 11 |
| ეფესი | 6 | 4 | 2 | +37 | 10 |
| პო ორტეზი | 6 | 2 | 4 | -34 | 8 |
| ოლიმპია | 6 | 1 | 5 | -30 | 7 |

### F ჯგუფი

**ბენეტონი 88:72 ბარსელონა**

ბენეტონი: იდნი (18), გარბახოსა (15)

ბარსელონა: ნავარო (20), ბოდიოგა (13)

**პანათინაიკოსი 77:86 სიენა**

პანათინაიკოსი: ლაკოვიჩი (16)

სიენა: ტორნტონი (22)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 6 | 4 | 2 | +37 | 10 |
| ბენეტონი | 6 | 4 | 2 | +16 | 10 |
| ბარსელონა | 6 | 2 | 4 | -7 | 8 |
| პანათინაიკოსი | 6 | 2 | 4 | -46 | 8 |

### G ჯგუფი

**მაკაბი 107:99 ჟალგირისი**

ძირითადი დრო 95:95

მაკაბი: იასიკევიჩი (37), ვოიჩიჩი (18)

ჟალგირისი: საბონისი (29)

**პამესა 78:72 ულქერი**

პამესა: დიკუდისი (20), პარაისო (18)

ულქერი: ნაუმუსკი (21), ბლერი (18)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 6 | 4 | 2 | +46 | 10 |
| პამესა | 6 | 4 | 2 | -3 | 10 |
| ჟალგირისი | 6 | 3 | 3 | +13 | 9 |
| ულქერი | 6 | 5 | 1 | -56 | 7 |

ციგაობა

# სხვისი ციგით ტურინში ვერ ჩავსრიალდებით



*ქართველი მოციგავეები ოლიმპიურ თამაშებში უკანასკნელად ათი წლის წინ, ნორვეგიულ ლილეჰამერში გამოვიდნენ. სამწუხაროდ, ორ მომდევნო შესარჩევ ციკლში საოლიმპიადო ლიცენზია ვერავინ მოიპოვა. ახლა კი მშვენიერი შანსია, რომ 2006 წელს ტურინში, ზამთრის XX თამაშებზე ქართველ სპორტსმენთა შორის ერთი-ორი მოციგავეც ვიხილოთ. ცხადია, თუ სათანადო ხელშეწყობა იქნება, რაც სულაც არ მოითხოვს უზარმაზარ ხარჯებს. სწორედ ამის იმედზეა საქართველოს ციგაობის ფედერაციის პრეზიდენტი ფელიქს ქუმარიტაშვილი, რომელიც იმავდროულად ნაკრების მწვრთნელიცაა.*

*საიტალიო ოპტიმიზმის საფუძველი ისიცაა, რომ როგორც იქნა, „ყინული გალღვა“ და ჩვენმა ჭაბუკმა მოციგავეებმა წლევანდელ სეზონში პირველად მიიღეს მონაწილეობა თანატოლთა მსოფლიოს თასის ორ ეტაპზე*

— ავსტრიასა და გერმანიაში საქართველოს გუნდის ერთთვიანი ყოფნა საციგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ დააფინანსა — ამბობს ბატონი ფელიქსი — ინსბრუკსა და ბერჩესგადენში სავარჯიშოდ და საშეჯიბროდ სამი ბაკურიანელი მოციგავე წავიყვანეთ, 15-წლის ლაშა ფანჯიკიძე, ლევან გურეშიძე და ალბერტ მიკირტიჩიანი.

მომზადებისთვის მშვენიერი პირობები გვქონდა, ბიჭებიც მონდომებით ვარჯიშობდნენ და შედეგებითაც კმაყოფილი ვიყავი, მაგრამ შეჯიბრებისას ღელავდნენ და ბევრად უარესი დრო აჩვენეს. ბუნებრივია — ეს ხომ მათი პირველი სტარტი იყო, თანაც ასეთ დონეზე. მეორე ეტაპზე გერმანიაში უკეთ გამოვიდნენ, განსაკუთრებით ლევან გურეშიძე, რომელმაც 42 მონაწილეს შორის მეოცე ადგილი დაიკავა, თუმც თავის სავარჯიშო გრაფიკს მაინც საგრძნობლად ჩამორჩა. ისიც უნდა ითქვას, რომ ბიჭები ნათხოვი ციგებით სრიალებდნენ.

— რატომ, თავისი ხომ ჰქონდათ?

— კი, მაგრამ ისინი პატარების, მსუბუქი ციგებია. მსოფლიოს თასზე, მით უფრო ოლიმპიური ლიცენზიისთვის საბრძოლველად დიდი და მძიმე ციგების გარეშე ვერაფერს მიაღწევ. „დიდები“ სამი ათასი ევრო ღირს და სპორტსმენის ზომა-წონის გათვალისწინებით მზადდება. ორი ასეთი ციგა რომ შეგვაძენინა, შემოდგომაზე სატურინო ლიცენზიებისთვის ბრძოლაში ჩავებმებოდით. აუცილებელია მინიმუმ ორ ეტაპზე გამოსვლა, ოლიმპიური საგზურის მოსაპოვებლად კი 50 საუკეთესოს შორის თუნდაც ერთხელ მოხვედრაც საკმარისია. ოღონდ რაკი ბაკურიანში საციგაო ტრასა კარგა ხანია, აღარ არსებობს, ნაკრების კანდიდატებს მთელი ზამთარი უცხოეთში მოუწევთ ვარჯიში. ჩვენი პრობლემების შესახებ საქართველოს სპორტის ხელმძღვანელებმა, ცხადია, იციან და იმედია, 2000 წლის ზამთრის ოლიმპიადისთვის სამზადისის ხარჯებში ციგაობასაც გაითვალისწინებენ.

— ახალი ტრასის გაყვანას არ აპირებთ?

— საერთაშორისო ფედერაცია სტანდარტული, 360 მეტრი სიგრძის ტრასის მოსაწყობად შარშან 45 000 ევროს გადმორიცხვას დაგვპირდა. ჩვენც მაშინვე შევარჩიეთ კოხტაგორის ფერდობზე საამისოდ ერთი ჰექტარი ფართობი და შესაბამისი ინსტანციების თანხმობაც მივიღეთ, მაგრამ დღემდე ვერ მოხერხდა იმ ადგილის ჩვენი ფედერაციისთვის იჯარით გადმოცემა. ვიმედოვნებ, ეს საკითხიც მალე მოგვარდება და ნებართვის მიღებისთანავე რამდენიმე თვეში ტრასაც მზად გვექნება.

**ირაკლი ნიკოლაძე**

მთის თხილამურობა

# ახმეტელმა გუდაურში ოქროები მოხვეტა



სოფიკო ახმეტელი

მთლად შვეიცარიისა და ავსტრიის დონის ვერა, მაგრამ სამთო-სათხილამურო ჩემპიონატი საქართველოშიც ტარდება. ჩვენი ქვეყნის მორიგ ეროვნულ პირველობას 6-7 აპრილს გუდაურმა უმასპინძლა, სადაც ორ სამთო სახეობაში — სლალომსა და გიგანტურ სლალომში გამოვლინდნენ ჩემპიონები.

ქალთა შორის პირველობა არავის დაუთმო საქართველოს არაერთგზის ჩემპიონმა სოფო ახმეტელმა, რომელიც ორივე დისციპლინაში საუკეთესო იყო. ორივე სახეობის პრიზიორი გახდა გუდაურელი გოგონა მარიკა კაიშაური, რომელსაც ბრინჯაოს მედლები ერგო. რაც შეეხება მეორეადგილოსნებს, სლალომში ვერცხლი თბილისელმა ეკატერინა კოსირატმა მოიგო, გიგანტურ სლალომში კი ბაკურიანელმა მანანა წერეთელმა.

ქალებისა არ იყოს, ვაჟთა სახეობებსაც ერთი გამარჯვებული ჰყავდა — თბილისელმა იასონ აბრამაშვილმა გიგანტური სლალომიც მოიგო და ჩვეულებრივიც. გიგანტურში იასონს კვალში ვატო კოპაძე ჩაუდგა, რომელმაც სლალომის თოვლიან დამრეცებზეც გამოიჩინა თავი და ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. დარჩა ერთი ვაჟი პრიზიორი, გიგანტურ სლალომში მესამე ადგილზე გასული სანდრო იაშვილი.

ტურნირი საქართველოს სათხილამურო ფედერაციამ მოაწყო გუდაურის სასტუმრო კომპლექსისა და ბიზნესმენ გოგი თოფაძის დახმარებით. საქართველოს ჩემპიონატს საგანგებო სტუმარიც ჰყავდა, ევროპის სათხილამურო წრეებში საკმაოდ გავლენიანი პირი, ავსტრიის სათხილამურო ფედერაციის გენერალური მდივანი კლაუს ლასნერი.

ჩვენს ფედერაციას საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ევროყაიდაზე გარდაქმნა განუზრახავს და ამაში ბატონი ლასნერის დახმარების ეიმედება. ანუ საქართველოს ჩემპიონატი ღია პირველობის სტატუსს მიიღებს. მასში ევროპელი სპორტსმენებიც ისრიალებენ და ამ ტურნირში ნაყოჩაღევი საოლიმპიადო სალიცენზიო ქულებსაც ჩაიწერენ. ასეთი პრაქტიკა ევროპაში მიღებულია, წამყვანი ქვეყნების ჩემპიონატებს ამავდროულად საერთაშორისო სალიცენზიო ტურნირების სტატუსი აქვთ მინიჭებული.

**ირაკლი პერტაია**

ჰოკეი

## პლეი ოფი. პირველი წრე

*შარშანდელი კოშმარები აღარ მეორდება. ყოველ შემთხვევაში, არც ერთი წყვილის თამაშში არ დაფიქსირებულა მოულოდნელი შედეგი. 8 შეხვედრიდან შვიდში მასპინძლებმა იმარჯვეს, სტუმართა ერთადერთ მოგებას კი სიურპრიზად ნამდვილად ვერ აღვიქვამთ*



REUTERS

ოტაველმა მარიან ჰოსამ წაქცეულმაც მოახერხა გოლის გატანა

# ფუი ეშმაკს!

## ეშმა ეშვები გამოაჩინა

### აღმოსავლეთი

**ტამპა 1:0 აილენდერსი**

**ტამპა 3:0 აილენდერსი**

*0:0 2:0 1:0*

**1:0 რუა, 2:0 მოდინი (32), 3:0 მოდინი (51)**

„ტამპას“ იოლი გამარჯვება ორმა ჰოკეისტმა განაპირობა. ერთი გუნდის მეკარე ნიკოლაი ხაბიბულიანი გახლდათ, ხოლო მეორე... აილენდერსელი ერიკ კეირნსი. დიახ, სწორედ ნიუიორკელთა მცველის ორ უხეშ შეცდომას მოჰყვა ორი გოლი სტუმართა კარში, თორემ მანამდე „აილენდერსი“ ღირსეულად ებრძოდა აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდს და საგოლე მომენტებიც უფრო მეტი შექმნა. „აილენდერსს“ არც მერე დუყრია ფარ-ხმალი და ყვანჯები მაგრამ ეს დღე ტამპელებისა იყო.

**ტორონტო 0:1 ოტავა**

**ტორონტო 2:4 ოტავა**

*2:1 0:2 0:1*

**1:0 ნუინდაიკი (4), 1:1 სმოლინსკი (6), 2:1 მაკეიბი (19), 2:2 რედენი (31), 2:3 ჰოსა (31), 2:4 ჰოსა (42)**

სხვა რომ არაფერი, „ტორონტო“—„ოტავას“ სერიაში სტუმარ-მასპინძლის გარჩევაც ჭირს. ორივე გუნდი ხომ კანადის ერთი პროვინციის, ონტარიოს წარმომადგენელია და ქლაქებიც მეზობლად მდებარეობენ. შესაბამისად, გასვლით მატჩებზე ორივე გუნდს ბლომად გულშემატკივარი მიჰყვება. ასე რომ, მათი შეხვედრები უფრო დერბის მსგავსია.

ამიტომაც გრძნობდა „ოტავა“ კომფორტულად თავს სერიის პირველ მატჩში. მართალია, მასპინძლებმა უფრო კარგად დაიწყეს თამაში და პირველ მესამედში ორჯერ დაწინაურდნენ, მაგრამ მეორე პერიოდიდან სტუმართა უპირატესობა აშკარა გახდა. შედარებით ხნიერ ტორონტოელებს ახალგაზრდა ოტაველებმა თავიანთი ტემპით ბევრი თავსატეხი გაუჩინეს, მასპინძლებიც ხშირად ჯარიმდებოდნენ და „ოტავას“ საშუალება მიეცა, თავისი მთავარი იარაღი, რიცხვმრავლობა გამოეყენებინა. „სენატორებმა“ ორკაციანი უპირატესობით მაქსიმალურად ისარგებლეს და უეიდ რედენისა და მარიან ჰოსას დარტყმების შემდეგ წინ გავიდნენ. 42-ე წუთზე კი ჰოსას ინდივიდუალურმა ოსტატობამ საბოლოოდ გატეხა მასპინძლები.

ახლა „ტორონტოს“ სვლაა.

**ფილადელფია 1:0 ნიუ ჯერსი**

**ფილადელფია 3:2 ნიუ ჯერსი**

*1:0 1:0 1:2*

**1:0 განიე (11), 2:0 რენიკი (24), 3:0 პრიმო (44), 3:1 ელიაში (44), 3:2 პ რდინა (45)**

„ფილადელფიას“ ჩემპიონთან გამარჯვებაში ლომის წილი მეკარე რობერტ ეშმა დაიდო. საოცარია, სერიის დაწყებამდე ხომ სწორედ მეკარის პოზიცია ითვლებოდა „ფილადელფიის“ აქილევსის ქუსლად. ხუთშაბათს კი რობერტმა ისე დაჯაბნა „ნიუ ჯერსის“ მრისხანე მეკარე მარტინ ბროდო, რომ 44-ე წუთამდე მასპინძელთა გამარჯვებაში არავინ დაეჭვებულა.

თუმცა 35 წამის განმავლობაში „ეშმაკებმა“ ორი შეტევა დააგვირგვინეს წარმატებით და უფრო მეტი უსიამოვნებებისგან „მფრინავები“ ისევ ეშმა იხსნა.

„სწორედ ეშმა განაპირობა დღევანდელი გამარჯვება, მან გადარჩინა თავისი გუნდი“ — შეაქო მარტინ ბროდომ მატჩის შემდეგ თავისი მეტოქე.

### დასავლეთი

**სან ხოსე 1:0 სენტ ლუისი**

**სან ხოსე 1:0 სენტ ლუისი**

*0:0 0:0 0:0 1:0*

**1:0 დიმიტრაკოსი (70)**

ესეც პლეი ოფის პირველი ოვერტაიმი. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ სერიაში პირველივე მატჩიდან გაჩაღდა დაძაბული, მაგრამ არცთუ შინაარსიანი ბრძოლა. დამატებით დროში ბედმა მასპინძლებს გაუღიმა.

**სამველ ლარიბიანი**


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია

დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე

რედაქტორი თამაზ მიგრიაული

რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი

ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე

ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე

უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია

ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი

კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.

საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29

ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge

ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge